



140
1964

სოფლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა





მა ხალხი, საბოლოოდაა.

ბიოგრაფიული ბიჭები

ეს მოხდა რამდენიმე წლის წინათ. მაშინ ბევარი დღე-ღამე მთელი და ოსები განთავსდნენ მე-7 კლასის მოსწავლეებში. ბევრნი სკოლიდან ბრუნდებოდნენ. გვიანი შემოდგომა იყო, სიფხვს ჰერბანტული ავით და ხალხი ერთმანეთს ემხრობოდა სახლებს აგებაში. ზოგი წყალს ეზიდებოდა, ზოგი ცემენტს და ქვიშას აზიდებდა, ზოგიც აფხვის აფხურზე ადებდა. ერთი სახლი მშენებლობისთან ბეჭადმა და ოსებმა ჩაბნობი ყორხე ჩამოღეს და ჩამოყდნენ. ავითმეტილი თვალებით შესივნილდნენ, თუ როგორ ეწუთობოდა აფური გურს.


«რა ლამაზად აგებს პაპა ვიგო, ოქროს ხელი აქვს, — გაიფიქრა ნე-
ვანმა და, ის იყო თავისი აღტაცება შეგობრისათვის უნდა გეზიარებინა, რომ პაპა ვიგომ ბავშვებს გაღმისსება»
— ბიჭებო, მანდა რას უზიარებ? ვერა ხედავთ, რა დღეში ვართ! — წყალო მისი მოვიტყავით.
— ახლევ, პაპა, — მკვირცხლად წამოხტა ფეხზე ბეჭანმა და ხელში ევლით აბლი: აჰ
— შენ ვი, სოსო, აფური მომეწოდე, — ჩამოსახა მეორემ ოსებს.
ოსებიც მაშინვე ფეხზე წამოხტა და...
• • •
გვიან ღამით დაბრუნდნენ დაქანტული ბავშვები თავიანთ სახლებში.
— აღე იყავი ამდენ ხანს,

ბევან? რას ფიქრობ, გაევიტოლებს მომხადება არ უნდა?
— პაპა ვიგოს ვეზარებოთ სახლის აშენებაში, დედა
— შენ რა, ხომ არ აბი-რებ პაპა ვიგოს ხალხი გამოაცლო? — დავინ-ვით ჩაეტოხა მამა.
— იცი, მამა, ძალიან მოშროს მისი ხელობა მე და ოსებმ ჩამოაგე-ლობა გადაეწვივებთ ე-დმც, როგორც კი მგა-ღმობაზე წავიდეთ, — და-ბეჭებით თუვა ბეჭანმა.
— შენც სკოლა? — გაითაც მამა.
— საღამოს სკოლაში ვისწავლა...
— შერედა, შესსლებ? — დაბეჭებით შეეკითხა დედა.
— ხელთან სწავლა უნდა, — დავევებით უფ-რია მამამ. — კარგი, ხე-ლისანი რომ გამოვხიდე, ბებიც უნდა ისწავლა.

— ჰოდა, ჩვეც ამიტომ გადაეწვივებო, თბილისის საშენებლო სასწავლებელში მოვეწვიო.
ბეჭანის დედა ერთხანს გაცვიფრებული შეპუ-რებდა მშველს, შეღებვ ქმარს მოუბრუნდა:
— ხედავ, ყაყო, ახლა თბილისში წასვლაც მი-ნდობა ამ ბაბლამ, — რას გასწრებულხარ, რატომ არაფერი ეტყვი?...
— ხე უნდა, ქალო, რავე ვადაეწვივებო აბო, ჩვენი ვილა — ხელ შე-ვეწვიო.
დასული წლის აგვის-ტომში ბიჭები თბილი-სოსი მე-18 სახელოსნო-სამშენებლო სასწავლებ-ლის კარებს მიადგნენ...
ათი სხვადასხვა სახის სპეციალისტებს ამხადგნ-ეს სასწავლებელი — ხე-რობებს, ცალკობებს, და-წე-მეხანქებიც, მეფე-რე-მეხანქებიც, მეფე-რე-კულებს, ხეიკალ-სანტექნი-კოსებს... აბრჩე, რომე-ლიც გნებავს.

გაფაციებით დათ-ვალიერეს ბავშვებმა სას-წავლებლის ღამიან მო-რთულ-მოწყობილი კა-ბინეტ — ლაბორატორი-ებში, სასწავლო საბო-ნოები სოსო და ბეჭანი განსაღვთებოთ სპეცტე-ქნოლოგიის კაბინეტით დაბეჭდეს.
ამ კაბინეტის ხელმძ-კვინლმა პედაგოგმა მყე-ტელა ხეოავიგოლმა საინ-ტერესოდ მიუთხოზო ბავ-შეებს საუნერ მასალებზე...

სოსოს და ბეჭანს კირი, ცემენტი, აფური, მქვიშა-ღორევი მარალეფერ ენა-ბრე, მავრამ ამ ხომ სხვა სახის მასალებიც იყო, გა-თხე კი ბავშვებს წარმო-დგენდა აბ ქვიშადა...
დღესანს ჩერდებოდნენ ოხსინ თარობიან, სდეკ-მათიან უცხოთ მასალე-ში იყო განლაგებული.
— პეტრეცქეული მას-წავლებელი, ეს რა არაბ? — იფიქრა ბეჭანმა და ხე-ლში თფირი ფილა აბლი.



მსწავლეები "ბუნაჭ მუნაჭ"



მკვანთა ილვა იანე შევია.



„აგან მე-18 სახელოსნო სასწავლებელში ვართ“.



...საღამოს სასწავლებ-ლის საცხოვრებელ კორ-პუსში დღი ერთმული იყო. ბავშვები ერთმან-ღვის უზიარებდნენ გან-ვილი დღის შთაბეჭდი-ლებებს. მოხიბო უ ლ ი იფენენ აღმზრდელ-მედა-გოთა გულისმხიერებოთ, სასწავლებლის ლაბორა-ტორიებში, სასწავლო სა-ხელოსნოებში, სპორტე-ლ ნაგებობებში...
უცებ, ბეჭანისა და სო-სოს უფრალემა ერთ კუ-თხეში შეეფუფლმა ვა-ბუკებმა მიოქის. ჭაფუხს სხვიაც უფრალეზოდნენ, რალაცას ულოცადნენ წრის შუაში მდგომ სახ-





ხალისიანად მუშაობენ
მებათქაშეები.

მასთან დირექტორის მოადგილე ივანე შავდია მივიდა. მერაბმა ვერ შეამჩნია მისი მოსვლა. ივანემ მერაბს მხარზე ხელი დაადო. მერაბი შეკრთა, ფეხზე წამოდგა.

— რამ ჩაგაფიქრა? შენ რაღაც გაწუხებს.

მერაბი ღუმდა.

— თქვი, ნუ გერიღება...

— ძმაზე ვფიქრობ.

— საფიქრებელი რა გაქვს. თუ გენატრება, წადი და ნახე, დროსაც მოგცემთ.

— როგორ ვნახო, პატრიცემულო მასწავლებლო, როცა არ ვიცი. სად არის?

— როგორ?! — გოცუბით ჩაეკითხა ივანე

— პატარები ვიყავით, როცა დავვობდით. ჩემმა ძმამ მაშინ ლაპარაკიც არ იცოდა. შემდეგ საბავშვო სახლში მოვხვდით. მალე, დეიდაჩემმა იქიდან გამომიყვანა და თავისთან წამიყვანა. მან გამზარდა. ჩემი ძმა კი იქ დარჩა. ცოტა რომ წამოვიზარდე, მივაკითხე სურამის საბავშვო სახლს. იქ არ აღმოჩნდა, სხვაგან გადაუგზავნიან და ახლაც არ ვიცი მისი გზაკვალი.

ივანე ჩაფიქრდა, თან გრძნობით შეხედა ბავშვს, ხელი მოხვია.

— ნუ გეშინია, მერაბ, აქ არა ვართ? რამეს ვიღონებთ, მოვნახავთ.

ივანესათვის პირველი შემთხვევა როდი იყო ასეთი ამბავი.

იგი 18 წელი მუშაობს ასეთი ტიპის სასწავლებლებში და ბევრი მსგავსი

შემთხვევის შორეულ განხილვას; სამამულო ომის შემდეგ ხომ ხშირი იყო ასეთი შემთხვევები...

პირველად ივანე განათლების სამინისტროს დაუკავშირდა. დიდხანს ვაგრძელოდა ძებნა. ერთხანს ვერაფერი შეიტყვეს. ამან როდი შეაშინა გამოცდილი აღმზრდელი. ორი თვის ძებნის შემდეგ ბავშვის კვალს მიაგნეს...

...კვირა დღე იყო. მერაბი და ივანე კოჯორში ავიდნენ. გამოჩნდა საბავშვო სახლი, შემდეგ — ამ სახლის ეზოც. ეზოში ბავშვები თამაშობდნენ. მერაბი დააკვირდა მათ. ვერაფერ იცნო. ამ დროს დირექტორიც გა-



ნაპოვნი ძმა

დომიანი სახის ჭაბუკს — მერაბ ოსეფაშვილს ბიჭები დაინტერესდნენ ამ ამბით, წრეს შეუერთდნენ და, აი, რა გაიგეს.

მერაბი ძმას პოულობს

მერაბ ოსეფაშვილი ამ სასწავლებელში გასულ სასწავლო წელს მოსულა. მას მაშინვე მიუპყრია, პედაგოგებისა და აღსაზრდელების ყურადღება. ბეჯითად ეუფლებოდა თუ-

რმე მღებავის პროფესიას. სხვა საგნებშიც კარგად სწავლობდა და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც მუდამ აქტიური იყო. დღეები დღეებს მისდევდა. მერაბის ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა. იგი ყველას უყვარდა, ყველა პატივს ცემდა. ოღონდ ეს კი იყო, მერაბი ხშირად დაღონდებოდა, რაღაც სევდა შემოაწვებოდა და გულჩათხრობილი ხდებოდა.

ერთ დღეს მერაბი საერთო საცხოვრებელში მორიგეობდა. კუთხეში იჯდა, ფიქრს გაეტაცნა.

მოვიდა და ერთი ცქრიალა სახის ბიჭს მიმართა:

— ალექო, მოდი აქ. იცნობ ამ ბიჭს?

ბავშვი შეცბა, ცნობის მოყვარედ მიაჩერდა უცნობს, მხრები აიჩეჩა.

— მილი, ბიჭო, ახლოს, რისი გერიღება, შენი ძმა...

ძმების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

იმ საღამოსვე დაბრუნდნენ თბილისში სამივენი.

ივანემ ალექოც სახელოსნო - სამშენებლო სასწავლებელში მოაწყო.

პროფის ფარხულში

სასწავლებელში მისვლის პირველი დღეებიდანვე დამეგობრდნენ ალექო ოსტაძაშვილი, იოსებ ჯამილაშვილი და ბექან დიღმელაშვილი. ისინი ერთ სპეციალობას, მეფილეთ-მღებავის პროფესიას ეუფლებიან.

ყველგან ერთად არიან ბიჭები, სამუშაოზე თუ გაკვეთილებზე, კლუბში თუ საღამოს სკოლაში.

სად არ შეხვდებით ამ სასწავლებლის აღსაზრდელებს საწარმოო პრაქტიკაზე. ალექო, იოსები და ბექანი თანაჯგუფელებთან ერთად უკანასკნელად თბილისის 31-ე სახელოსნო სასწავლებელს ესტუმრნენ.

საწარმოო სწავლების ოსტატი ვახტანგ ქიტოშვილი სამუშაოს დაწყების წინ ბავშვებს ესაუბრა:

— ჩვენი ნახელავი ჯერ არავის დაუწუნებია, — ნამდვილი ოსტატების ნამუშევრისაგან ვერც გაარჩევენო, — უთქვამთ. — აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, არც ახლა შევირცხვინოთ თავი.

— პატივცემულო ვახტანგ, ხომ შეიძლება ეზოსაც მივხედოთ. გალავანი ზოგან ჩამონგრეულია,

ბათქაში ჩამოცვენილა. რა იქნება, ჩვენი ინიციატივით რომ შევაკეთოთ? — თქვა ალექომ.

— ყოჩაღ, ალექო, კარგი ინიციატივაა. ამ საქმის გაკეთებას შენ მოგანდობ; აირჩიე ორი მეგობარი და თქვენ იცით...

— თუ ჩემს არჩევანზეა, მე სოსოსთან და ბექანთან მივსივ...

დატრიალდნენ ბიჭები. შეჯიბრში გიწვევთო, — წამოიძახა ბექანმა და ქაფჩას წამოავლო ხელი. სოსომ ცემენტი და ქვიშა მოიტანა, ალექომ ხსნარი შეაზავა...

თავაულებლად მუშაობდნენ. საქმეში გართულებს არც კი შეუმჩნევიათ, როგორ შემოაღამდათ.

ვახტანგი მათ შორიდან უყურებდა, მოსწონდა მათი შრომისმოყვარეობა, ხარობდა...

შებინდებისას დაბრუნდნენ ბიჭები საერთო საცხოვრებელში. დღეს მათ მაგრად იმუშავეს, მაგრამ წინ კიდევ ბევრი საქმე აქვთ. ოთახებს მოვლა უნდა, სპორტული ბაზაეც თავისას მოითხოვს, ვახშობის შემდეგ სასადილო ოთახიც დასასუფთავებელია, სასწავლებლის და საერთო საცხოვრებლის კორპუსებიც ხომ ყოველდღიურ მზრუნვე-

ლობას მოითხოვს. კარგად იციან ბავშვებმა ხალხური სიბრძნე: „თუ შენთვის არ ვარგინარ, სხვას რას გამოადგები“. ჰოდა, ამიტომაცაა, რომ სასწავლებლის კორპუსები მუდამ წესრიგშია...

თბილისსა თუ პერიფერიებში რამდენი სახლი აგებულა ბავშვების უშუალო მონაწილეობით, რამდენი შეკეთებულა... შილდის და ბათუმის პროფტექნიკური სასწავლებლების შენობები მხოლოდ მათი აშენებულა.

ვინ მოთვლის, რამდენ მშენებელს აუღდამს ფენი 1949 წლიდან დღემდე თბილისის მე-18 სახელოსნო-სამშენებლო სასწავლებელში. ბევრი მათგანი დღეს უკვე სახელოვანი მშენებელია.

წელსაც 150-მდე კაცი შეემატება მათ რიგებს, თავიანთი სასახელო საქმეებით გაახარებენ დედასამშობლოს.

დღეები დღეებს მისდევს, შინაარსიანად მიდის დრო. ჭაბუკები იზრდებიან, ეუფლებიან თავიანთ პროფესიას, შრომობენ...

დიდი საქმეები ელით მომავალში ახალგაზრდა მშენებლებს!

გიორგი მუსხიშვილი
ფოტო ანზორ ჩიგოჯიძისა



წინ ნათელი გზაა.

ამ ხელნაწერთი დუღაბის გამძლეობას ამოწმებენ.

ბიჭები სპორტის ახალი ამბებით დაინტერესდნენ.

— უმ, რა კარგია ცივი წყალი.



ნახატები ზურაბ ფორჩხიძისა

პიესა 3 სურათად

მოკმედი პირანი:

აჩიკო—რაზმის ხაზუმს
თავმჯდომარე

კაკო
ზურაბი
პაატა
ჯუმბერი
თათია
ბულიკო

პ ი თ ნ ე რ ე ბ ი

ს უ რ ა თ ი 1-ლი

(პიონერთა ოთახი. მაგიდასთან ზის თათია და კედლის გაზეთში კორესპონდენციას წერს. ცოტა მოშორებით ზურაბი და კაკო ჭადრაკს თამაშობენ. ზურაბი თავისთვის ლილინებს).

თათია—(ამოიხვნეშება) უჰ... ხელი დამეღალა.

(მერე შორიდან ათვალიერებს თავის ნამუშევარს, აწონ-დაწონის და კვლავ განაგრძობს წერას. ზურაბი ხიმღერას უმატებს... ეტუზა, კარგი მდგომარეობა აქვს დაფაზე. კაკო ბრაზობს).

კაკო - რა გაცვეთილ ფირფიტასავით გააბი!

ზურაბი რატომ არ უნდა ვიმღერო? ვაგებ თუ?

კაკო - ჯერ აღრეა მოგება.

ზურაბი - (ხიმღერით) არა მგონია!..

კაკო - (ხვლას აკეთებს) ავიყვანე ეს მხედარი.

ზურაბი - (კვლავ ხიმღერით) აიყვანე მხედარი... კეთილი და პატიოსანი...

თათია - ზურაბ, თქვენ ერთობით, მე კი თითები მეტკინა ამდენი წერით. დღეს პაატა სკოლაში არ მოსულა. ვინ დავგინხატავს კარიკატურას, ჩემი იმედი ხომ არა გაქვთ?

ზურაბი - კარიკატურისა რა გითხრა, მაგრამ. კაკომ კი წაავო ეტლი და მგონი - პარტიაც.

თათია - ახლავე ავიშლით მაგ ჭადრაკს!

(შემოდის გულიკო)

გულიკო - ისევ მაგ გაზეთს უზინხართ?

თათია - მოგვედი, გოგო, მეტი აღარ შემიძლია.

ბულიკო - (დახედავს გაზეთს) რა კარგია!.. აქ ადგილი რატომ გამოვიტოვებიათ?




ბრიალებენ კოცონები
წაღვერსა და ტაშისკარში.
დამეს ყური უწითლდება
კოცონების ტაშის კვრაში.

ბლუჯა-ბლუჯა ნაპერწკლები
ვარსკვლავებად გაგვიშვია;
ბრიალებენ კოცონები
კოჯორშიაც,
მანგლისშიაც.

ცა ისეა შეღებილი,—
გვიმზერს დიდის მოწონებით;
პიონერთა მკერდზეც ღვივის
პაწაწინა კოცონები...

ბრიალებენ კოცონები
ქვიშეთსა და ბეთანიას;
ნიაგს ჩვენი სიმღერა და
ჩვენი გულის ფეთქვა მიაქვს.

— მზად ვართ —
მტკიცედ ვუპასუხებთ
პიონერულ მოწოდებას;
არე-მარე გაანათა
მოგიზგიზე კოცონებმა!



მთარ პალაგბერიძე

ტყე რომ იღვიძებს, იმ დროს
წამოიშლება ბანაკიც;
ასეთ ხმაურზე ფიქრობ:
არაგვს შემოხვდა არაგვი...

მოიკიდებენ ზურგჩანთებს,
ფერდობებისკენ, — ჰერი.
გურჯაანელს თუ უჯარმელს
ადევს სპილენძის ფერი.

ნაკადულები ფეთქავენ;
აცხუნებს მზე უზოგველი;
აქ ეცნობიან ერთმანეთს
ქალაქელი და სოფელი.

ტყე რომ იღვიძებს, იმ დროს
წამოიშლება ბანაკიც;
ასეთ ხმაურზე ფიქრობ:
არაგვს შემოხვდა არაგვი.





პაპო — აქ ჯუმბერი იქნება ჩახატუ-
ლი.
ბულიკო — ჯუმბერი?
ზურაბი — არ გახსოვს, ჯუმბერმა
თმებით რომ ათრია ეთერ სანებლიძე?
ბულიკო — რანაირები ხართ! ცოდვა
არ არის?
(ამ დროს ოთახში შემოდის გაბლენძილი
ჯუმბერი. მის დანახვაზე ყველანი იცინიან)
ზურაბი — ძალი ახსენე და კმტი
გვერდზე მოიგდეო.
(ჯუმბერი ამხანაგებს ზურგს შეაქცევს
და ფანჯარასთან დგება)
პაპო — რა იყო, ჯუმბერ, ავად ხომ
არა ხარ?
ჯუმბერი — თავი დამანებე!
პაპო — მოდი, ჩვენი ახალი გაზეთი
დაათვალიერე.
ჯუმბერი — ხატეთ, რამდენიც გინ-
დათ! ვითომ თქვენ არ გიჩხუბნიათ,
არა? ის რა იყო, კაკომ ჩანთა რომ
ჩასთხლიშა ნატმელაძეს. საწყალი
გოგო იმის მერე გაკვეთილებს
ველარ ამზადებს. (ბავშვები იცინიან).
ისიც ხომ გახსოვთ (ზურაბზე მიუ-
თითებს), ამ ვაჟბატონმა დასვენებაზე
მერხები თავუკულმა რომ შეაბრუნა
და ამის გამო მთელი გაკვეთილი
გაცდა.
ზურაბი — (მოიდუშება) კმ, როდი-
ნდელს ამბობს!..
ჯუმბერი — (გამოაჯავრებს) როდინელს
ამბობს!.. რატომ ეს არ დახატეთ?
პაპო — შენ ადვილი დასახატი ხარ,
ჯუმბერ! მსუქანი ლოყები, გაბუშ-
ტული ცხვირი და წაჭერილი საყელო.

ჯუმბერი — დამცინეთ, დამცინეთ და
თუ არ ინანებთ, იმასაც ნახეთ!
(გაჯავრებული გადის ოთახიდან).
ბულიკო — რაა მართლა, რას ჩა-
ცივდით საწყალ ჯუმბერს?
პაპო — გულიკო! თუ ასე ძალიან
გეცოდება ჯუმბერი, მაშინ იმის მა-
გივრად შენ ჩავხატავთ, გინდა?
(შემოდის დაღონებული აჩიკო, ყველა
მას შეხედავს)
თათია — რა იყო, აჩიკო?
პაპო — რა თავები ჩამოგტირის!
თათია — პაატა ავადა?
აჩიკო — არა.
თათია — მაშ რა მოხდა?
აჩიკო — პაატა გაზეთს აღარ დაგვი-
ხატავს.
ბულიკო — რატომ?
აჩიკო — სახლში დეიდა თამარი
დამხვდა. მე შტერმა, პირდაპირ
კვითხე, — პაატა ავად არის-მეთქი?
ის კი თურმე „შატალოზე“ ყოფილა
წასული.
პაპო — ესე იგი...
აჩიკო — დაბეჭდება გამომივიდა...
ზურაბი — (აჩიკოს) და შენ გგონია,
რომ ამის გამო პაატა გაზეთს აღარ
დაგვიხატავს?
აჩიკო — თითქოს არ იცოდე იმისი
ჯიუტი ხასიათი.
თათია — ის შეიძლება შენზე იყოს
ნაწყენი, რაზმმა კი რა დააშავა?
ბულიკო — სწორია! კედლის გაზე-
თი მთელი რაზმისაა. დახატვაზე
უარს ვერ იტყვის!..
თათია — ხვალ რომ მოვა, მე მოგე-
ლაპარაკები!
ბულიკო — მეც ვიტყვი.

ზურაბი — ფიქრი ნუ გაქვს, აჩიკო,
ჯერ ორი დღე კიდევ წინაა. ყველა-
ფერი მოესწრება...
პაპო — ახლა კი დაგიშალოთ, თო-
რემ საცაა დალაძდება.
აჩიკო — ჰო, წავიდეთ!
თათია — მე დავრჩები, ათიოდე
სტრუქონილა დამრჩა დასაწერი, ბა-
რემ ამასაც მოვთავაფებ.
ბულიკო — ნახვამდის, თათია!
თათია — ნახვამდის!
აჩიკო — წერას რომ მორჩები, გაზეთი
კარადაში შეინახე... კარის დაკეტვა
არ დაგავიწყდეს...
(ყველანი მიდიან, თათიას გარდა).
თათია — ძლივს არ დაწყენარდა ექა-
ურობა!.. (კარს მიხურავს და გაზეთს დაუ-
ბრუნდება) მართლაც კარგი გამოდის
ჩვენი „ეპარსკვლავი“... (დაიხრება ხა-
წერად).
ფ ა რ დ ა
ს უ რ ა თ ი მ-2
(საკლასო ოთახი. შემოდის პაატა.
ჩანთას მერხზე დააგდებს და ფან-
ჯარაში გაიხედავს. ეზოდან ბავშვე-
ბის ჟრიაშული ისმის).
პაატა — მოიცადე... ბიჭი არ ვიყო,
თუ ცხვირში არ ამოგადინო ჩემი
გამწარება... სულერთია, გამოგიჭერ
საღმე მართლს და... მაგრამ ისეთი
მხდალი ხარ, ვიცი, წახვალ და ისევ
დამაბეზლებ... მეც დაგაბეზლო?...
(კარადანთან შეჩერდება. მისი ყურადღე-
ბა კედლის გაზეთმა მიიპყრო. ადებს კარა-

დას, იღებს გაზეთს. დიდხანს ათვლიერებს და ფიქრობს. უცრად გაზეთს გადახაზავს ფანქრით, შემდეგ გადახევის, კვლავ კარადაში შეაგდებს, ჩანთას აიღებს და გაიპარება. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის გულიყო და თათია)

თათია—მიტხარი, მაგალითები თუ გამოიყვანე?

გულიკო—ოთხი მაგალითი გამოვიყვანე, ერთი—ვერა.

თათია—ვერც მე მივიღე პასუხი. (შემოიხრბის ზურაბი)

ზურაბი—სალამი.

თათია—ზურაბ, მაგალითები ამოხსენი?

ზურაბი—ამოგხსენი.

ზურაბი—შენი ბრალია ყველაფერი თათია—ჩემი!

ზურაბი—რატომ დატოვე კარადაში!..

თათია—აბა, სად წამელო? მოვათავე წერა და ყველაფერი კარადაში შევაწყე.

ზურაბი—კარადა რატომ არ დაკმტე?

თათია—გასაღები არა მქონდა.

ზურაბი—მაშინ წაგელო და სამას-წავლელბლოში შეგენახა...

თათია—მე რა ვიცოდი...

ზურაბი—რა იცოდი... ახლა ხომ

პაპო—შენ რას იცავ, გამაგებინე!.. ჩვენი გაზეთის ჯაგრი ვის სჭირდა? ვერ ხედავ, ჯერ ფანქრით გადაუხაზავს, მერე გადაუხევიო. გუშინ ისე შემოგვიბღვირა და დაგვემუქრა, ვგრძობდები—რაღაცას ჩაიდენდა.

(შემოდის ჯუმბერი. მერხს მიაშურებს. ყველანი ცნობისმოყვარეობით გააყოლებენ თვალს. კაკო ხელში იღებს გაზეთს და ჯუმბერისაკენ მიდის.)

პაპო—რა გექნია, ბიჭო, გუშინ?.. ჯუმბერი—რა მიქნია?..

(შემოდის პაატა. იგი თავისთვის ჯდება მერხზე).

ზურაბი—ვიჩვენია, სიმართლე გვიტხრა!

ჯუმბერი—რა გინდათ, რა მგლებით შემომცქერით?! ის არ გეყოფათ, გაზეთში რომ დამხატეთ?

პაპო—უყურეთ ამას, რამხელა ხმა აქვს. სჯობია სიმართლე გვიტხრა. ჯუმბერი—თავი დამანებეთ!

(აბიერებს წახვლას. ბიჭები წინ გადაუდგებიან)

პაპო—სანამ არ იტყვი, არსად არ გაგიშვებ!

ჯუმბერი—მიტხარით, რა ვთქვა და ვიტყვი!

პაპო—(აჩვენებს გაზეთს) ეს რა არის (ჯუმბერი გაოცდება. აკამდე მერხზე მდუმარედ მჯდარი აჩიკო მიიჭრება ჯუმბერთან)

პაპო—მართლა შენ ჰქენი? ჯუმბერი—რატომ გგონიათ, რომ მე...

პაპო—ამას უყურეთ (წაიწვებს ჯუმბერისაკენ, მაგრამ ამხანაგები წინ გადაუდგებიან), უარსაც რომ ამბობს!..

ზურაბი—მოიცა, კაკო, ყვირილი რა საქირია. ჯუმბერი მშვიშარა როდია, თვითონ იტყვის, გამოტყდება დანაშაულში.

ჯუმბერი—დედას გეფიცებით, მე არ დამიხევია.

პაპო—მაშ გეცოდინება, ვინ დახია.

ჯუმბერი—მე რა ვიცი, ვინ დახია!..


პაპო—იტყვი თუ არა? ჯუმბერი—არ ვიცი და რა ვთქვა.

თათია—ორში ერთი: ან შენ დახიე გაზეთი, ან იცი—ვინც დახია. გირჩევნია თქვა, სანამ ღირექტორთან წავსულავართ!

პაპო—ხომ გაბრაზდი გუშინ, კარიც ხომ მოგვიჯახუნე!

ჯუმბერი—მართალია, გავბრაზდი. კარიც მივიჯახუნე; იმიტომ, რომ მეწყინა. აბა, გამეხარლებოდა ჩემი გამასხრება? მაგრამ გაზეთი კი მე არ დამიხევია.

ჯუმბერი—თავს ნუ იკატუნებ!..



თათია—მაჩვენე, რა!

ზურაბი—რატომ, გადაწერა გინდათ?

გულიკო—გადაწერა რომ გვინდოდეს, შენგან მინც არ გადავიწერთ!

(გულიკო ზურგს შეაკცევს ზურაბს, ზურაბი კი რვეულს აწოდებს)

ზურაბი—აჰა, ყველაფერზე ნუ იბუტები... (თათია და გულიკო რვეულს ათვლიერებენ). პაატა ნახეთ?

თათია—სად არის?

ზურაბი—მალაზიასთან მოგკარი თვალი.

თათია—ესიგი დღეს მოვა; რა კარგია!.. (კარადიდან იღებს გაზეთს)

შეხედე, სათაურები—ლა აკლია!.. (გაშლის თუ არა გაზეთს, შემაჯვლებს)

ზურაბი... ზურაბი—რა იყო?

გულიკო—ჩემი სიკვდილი!.. ზურაბი—ვინ დახია?!

თათია—აბა, რა ვიცი!

იცი!.. ვიყვირეთ, ვიჭიკინეთ, ჩვენი „ვარსკვლავი“ ჯილდოს მიიღებსო და, აი, ამოდენა შრომა წყალში გადაგვეყარა.

(შემოდის აჩიკო და კაკო)

პაპო—რა მგლოვია რედა ხართ?

პაპო—რა მოხდა? (ზურაბი აჩიკოს გაზეთს აწვდის)

ზურაბი—ნახე... (აჩიკო გაზეთს გაშლის და უხშილ ჩაქდება მერხზე)

ზურაბი—რამდენი ვეხვეწეთ პაატას, დაეხატა, ის კი სულ „ხვალ დავხატავო“,—გაიძახოდა.

პაპო—ესეც შენი კონკურსი.. გულიკო—ალბათ, ვინძე დაგვიდარაჯდა, ჩვენ რომ წავედით, მაშინ შემოიპარა და დახია.

პაპო—თუ გინდა, თავს დავდებ, რომ ჯუმბერის ნამოქმედარია.

პაპო—მეც ასე მგონია.

თათია—სწორია! ის იქნებოდა, ვერ აიტანა კრიტიკა და დახია.

გულიკო—მე კი არა მჯერა...

ჯუმბერი—გეუნებით, არ დამიხე-
ვია მეთქი!

პაკო—(მიიწევს ჯუმბერისაკენ) თავსაც
რომ იმართლებს!..

ჯუმბერი—ერთი ხელი მახლე და
ნახავ!..

პაკო—რას ვნახავ, შე დოყლა-
პია!.. ერთ წამში მოგახრჩობ!..

(კაკო ყელში სწვდება ჯუმბერს. ამხანა-
გები აშველებენ)

თათია—კაკო, არა გრცხვენია?!
ბულიკო—ხელი გააჩერე!.. მე მგო-
ნია, ასე პირდაპირ დაბრალება არ
შეიძლება.

პაკო—მაშ გამოძიებელს ხომ არ
მოვიყვანთ! კრიტიკა ვერ აიტანა და
დახია!

ჯუმბერი—არ დამიხევია!
ჯუმბერი—სტყუი!

ჯუმბერი—გტყუი და გტყუოდ!
მე დავხიე, ეგრე მინდოდა!.. წადით
და მიჩივლეთ! (აიპირება გარეთ. ყველანი
ოვალს გააყოლებენ).

პაკო—ხედავთ, რა გვიყო ამ ჭი-
რინმა?!.

თათია—რამდენს ვიკვებინდით,
ჩვენი კედლის გაზეთი ყველაზე უკ-
თესი იქნებაო. და აი...

ჯუმბერი—ფიქრი ნუ გაქვთ. ჩვენი
„ფიროსმანი“ დატრიალდება და
ერთ დღეში ახალ გაზეთს დაგვიხა-
ტავს.

თათია—პაატა, შენი ჭირიმე, რაც
იყო—იყო, დავიწყით ხელახლა.

პაკო—ჯიბრზე უკეთესი გავაქე-
თოთ!

ჯუმბერი—(კარადიდან იღებს სუფთა ქა-
ლაღს) აი, ახალი სახაზავი ქალაღი.
(ჯუმბერი იღლაში ამოუჩრის პაატას
ქალაღს, პაატა ჯერ გაოგნებული დგას,
შემდეგ ზურაბს გაზეთს უკან დაუბრუნებს)
პაატა—არა, ჩემი იმედი ნუ გექნე-
ბათ.

პაკო—კი მაგრამ, კონკურსი?
აჩიკო—პაატა, ვიცი რისთვისაც
ამბობ უარს. ერთი კი იცოდე, შენს
დასაბეზღებლად არ მოვსულვარ გუ-
შინ! (პაატა ირონიით შეხედავს აჩიკოს)
დამიჯერე... ძმას გეფიცები.

ჯუმბერი—გინდაც აჩიკოს რამეზე
გაეჯავრებინე, ჩვენ რა შუაში ვართ.

პაკო—ჰო, ჩვენგან რა გინდა?
თათია—პაატა, შენი ჭირიმე, ხომ
დაგვიხატავ?

პაატა—არა!

ფ ა რ დ ა

ს უ რ ა თ ი მ ე - ვ

(საკლასო ოთახი. მოსწავლეები).
ჯუმბერი—მე თუ მკითხავ, გუშინ
უფერული თამაში იყო.

პაკო—შენც გესმის რა!.. პირველი
ბურთი როგორი გაიტანეს ჩვენებმა!

ბულიკო—რა გაყვირებს, ბიჭო,
ცოტა ჩუმიდ ვერ ილაპარაკებ? ტვი-
ნი წაიდეს ამ ფეხბურთით.

(ოთახში თათია შემოიჭრება)
თათია—ამხანაგებო, პაატა მოდის!
ჯუმბერი—მერე რამ გავახარა?
თათია—გაზეთი მოაქვს.
ჯუმბერი—რა გაზეთი?
თათია—ჩვენი „ვარსკვლავი“.

აჩიკო—როგორ?
თათია—თვითონ მითხრა, დავხა-
ტეო. გუშინ ჩვენ რომ წავედით,
ის მერე დაბრუნებულა და წაუღია!..
ბულიკო—ვიცოდი, რომ ასე მოხ-
დებოდა.

თათია—მერე, არ იტყვი, ვისთან
ერთად მოდის?
პაკო—მანც?

თათია—ჯუმბერთან ერთად.
ბულიკო—ვინ ჯუმბერთან?
თათია—ჩვენ ჯუმბერთან.

პაკო—აა, გასაგებია. ჯუმბერი
გამოუტყუებოდა პაატას დანაშაულ-
ში და ახლა მოდის, რომ ჩვენთანაც
მოიბოდიშოს.

აჩიკო—პაატა ეშმაკის ფეხია, გა-
მოტყუავდა.
(იღებს კარი. შემოდიან პაატა და ჯუმ-
ბერი)

ჯუმბერი—მოიტანე?
(პაატამ გაზეთი გაუწოდა. ჯუმბერი
მოართვა და გაშალა. უცებ გაცვირვებით
ოვალები აენთო...) პაატა შენ?

თათია—პაატა!..
ბულიკო—ეს ხომ პაატაა!..
პაატა—მე დავხიე გაზეთი.

აჩიკო—შენ?! რატომ?
პაატა—შევეცი... მეგონა—ამით
აჩიკოს გადავუხდიდი სამაგიეროს. მე
კი მთელ რაზმს ვატყინე გული. ჯუმ-
ბერი მართალი იყო და ტყუილად
დააბრალებთ. ახლა რაც გინდათ,
მიყავით.

(ყველანი უხმოდ დგანან. ჯუმბერს სირ-
ცხვილით ოვალეებში ვეღარ უტყქერიან. ბო-
ლოს აჩიკო მივა პაატასთან და ხელს მოხ-
ვევს)

აჩიკო—არა უშავს... რაც მოხდა—
მოხდა! ჯუმბერთან კი, ამხანაგებო,
ბოდიშის მოხდა გემართებს.

ჯუმბერი—არაა საჭირო; მე იმი-
თაც კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი სი-
მართლე გამოჩნდა.

აჩიკო—მეგობრებო, მოგწონთ ჩვე-
ნი „ვარსკვლავი“?

თათია—მართლაც ლამაზია!
ბულიკო—ახლა კი მჯერა, რომ
კონკურსში გავიმარჯვებთ.

ფ ა რ დ ა



ვარსკვლავი



პიერ კიური მოსცილდა მაგიდას, რომელზედაც იგი მუდამ ატარებდა ცდებს, და მეორე ოთახში გასასვლელ კარებთან მივიდა.

— მარი, უკვე თორმეტი საათია. ხომ არ დაგავიწყდა, რომ დღეს პროფესორთან უნდა მიხვიდე?

— არა, პიერ, არ დამვიწყნია. ხელს დავიბან და ახლავე გამოვალ, — ფრანგულად, ოდნავ შესამჩნევი პოლონური აქცენტით უპასუხა ქალმა.

კარი გაიღო და გამოჩნდა გამხდარი ქალი. დალაქავებულ თეთრი ხალათი ეცვა, ჩამოშლილი ქერა თმა ოქროს გვირგვინივით უმშვენებდა სახეს.

— გაგაცილებ, — თქვა პიერმა, — ჩემს კრისტალებს შეუძლიათ ცოტა მოიცადონ. (მეცნიერი კრისტალების სიმეტრიებს სწავლობდა).

პიერი და მარი ხელი-ხელჩაკიდებულნი, სირბილით გავიდნენ ქუჩაში.

— როგორ გგონია, მომცემს პროფესორი სადოქტორო დისერტაციისათვის თემას?

— მე მგონი, მოგცემს. წინა სამუშაო, „ფოლადის მაგნიტური თვისებები“, ხომ გახსოვს, რა კარგად შეასრულე.

სადარბაზოსთან შეჩერდნენ. კარზე მარმარილოს დაფა იყო გაკრული: „პროფესორი ანრი ბეკერელი. პარიზის პოლიტექნიკური სკოლის დირექტორი“, — ეწერა დაფაზე.

პიერმა მეუღლეს გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და გაამხნევა: — როგორც კი დაამთავრებთ საუბარს, ჩემთან მოდი.

...პროფესორი მაგიდას უჯდა და ფოტოფირის სინჯავდა. ფირისათვის თვალი არ მოუცილებია, ისე ანიშნა, — დაბრძანდიო. მარი დაჯდა.

პროფესორმა ფირი გვერდზე გადადო და სტუმარს მიუბრუნდა.

— ესე იგი თქვენ სადოქტორო დისერტაციისათვის თემა გინდათ, არა?

— დიახ, ბატონო პროფესორო.

— კარგი და პატიოსანი. მე თქვენთვის მეტად საინტერესო თემა მაქვს, — აი, ჩაიხედეთ ამ უჯრაში. აქ, ამას წინათ ნაყიდი ფოტოფირები მქონდა შენახული. ცხადია, ყველა ფოტოფირი, ჩვეულებრივ, ფაბრიკული წესით იყო შეფუთული.

აქვე იდო ერთი ძველი გასაღები და კიდევ... იცით, ამას წინათ ცოტაოდენი ურანის მარილი მივიღე; აი, აგერ რომ კოლოფი დეეს, იმაში მქონდა შენახული. გასულ კვირას გავამქლავნე ფოტოფირები და პირდაპირ გაოცებული ვარ...

მარიმ ყურადღებით შეათვალიერა ფოტოფირი.

— ღმერთო ჩემო, გასაღები?!

— ჰო, სწორედ რომ გასაღებია. რაღაც სასწაული მოხდა: დახურულ უჯრაში, სტანდარტულად შეფუთულმა ფოტოფირებმა თვითონ გადაიღეს სურათი.

მარიმ კიდევ უფრო მეტი ყურადღებით შეათვალიერა ფირები.

— ფოტოსურათის გადასაღებად შუქია საჭირო, — მსჯელობდა მარი, — ფირებს კი, ამ შემთხვევაში, შუქი არ მოხვედრია. ნუთუ ურანს შუქის გამოსხივების უნარი გააჩნია?

— მგონი, სწორად მსჯელობთ. ამ სხივებს მე ურანის სხივები დავარქვი. საჭიროა ამ გამოსხივების გულდასმით შესწავლა. აი, ეს იქნება თქვენი სადისერტაციო თემა.

* * *

— რას იტყვი, სადისერტაციო თემით კმაყოფილი ხარ?

— კი, პიერ, ეს ძალზე საინტერესო საკითხია. ურანს რაღაც საოცარი თვისება აქვს. ცნობილია, რომ ამა თუ იმ ელემენტის თვისებები სავსებით განსხვავდება მისგან წარმოქმნილი ქიმიური შენაერთების თვისებებისაგან. ჟანგბადი და წყალბადი — აირებია, მათი შეერთების შედეგად კი წყალი, ესე იგი სითხე წარმოიშობა. ქლორი და ნატრიუმი — ორივე ძლიერი მომწამვლელი ნივთიერებებია, მათი ნაერთი კი ადამიანისათვის მეტად საჭირო სუფრის მარილს იძლევა.

— შენი აზრით, ეს თვისება ურანსაც აქვს?

— არა, ურანი სულ სხვა რამ არის. ცდებით დავადგინე, რომ ურანის შენაერთები შუქს გამოასხივებენ, ამასთან ეს გამოსხივება ტემპერატურაზე, წნევაზე და სხვა გარემო პირობებზე არ არის დამოკიდებული.

— საინტერესოა!

— ერთი ამბავი მაოცებს ყველაზე მეტად. პროფესორისათვის ეს ჯერ არ მითქვამს. ამას წინათ სუფთა ურანსა და თუთიის კრიალაზე ჩავატარე ცდა. შენი ფიქრით, რომელი უფრო მეტს გამოასხივებს?

— რომელი?... შენ ხომ ამბობ, ურანს დიდი რადიოაქტიუ-

რი თვისებები აქვსო, ამიტომ — სუფთა ურანს მეტი გამოსხივება ექნება.

— სცდები, პიერ! თუთიის კრიალა უფრო რადიოაქტიურია. ვიდრე სუფთა ურანი. მე ჩავატარე ცდა, რომლის შედეგადაც მივიღე ხელოვნური, სინთეტური თუთიის კრიალა. იგი არაფრით განსხვავდება ნატურალურისაგან, მაგრამ... რადიოაქტიური არ არის. რას იტყვი, პა?

პიერი ჩაფიქრდა.

— მე მგონი, პასუხი მხოლოდ ერთია: შენს მიერ მიღებული თუთიის კრიალა იგივე ბუნებრივი თუთიაა და მეტი არაფერი. იმ კრიალაში, რომელსაც შენ გიგზაგნიან, ალბათ რაღაც ნაერთია შერეული, რომელიც ვერ შეამჩნიე და, ცხადია, სწორედ ის ასხივებს.

— მეც ასე მგონია. რაღაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა ვიპოვო ის ნაერთი.

პიერის მშვიდი და ჭკვიანური თვალები მარის თვალებს შეხვდნენ. პიერს დიდი ხანია სურდა, მეუღლეს დახმარებოდა და აი, დადგა კიდევ ერთად მუშაობის დრო.

— მარი, როგორ ფიქრობ, ერთად რომ ვიმუშაოთ, საქმე სომ უფრო სწრაფად წავა წინ?

— პიერ! შენ თანახმა ხარ? გულით ამბობ? რა ბედნიერი ვარ, ასეთი შესანიშნავი მეგობარი რომ მყავს!

* * *

— მე აღფრთოვანებული ვარ თქვენით, — თქვა პროფესორმა, — როგორ მოახერხეთ აღმოგეჩინათ ახალი ელემენტი?

— ახალი ელემენტი, რომელსაც გაცილებით მეტი რადიოაქტივობა აქვს, ვიდრე სუფთა ურანს! — დაუმატა პიერ კიურიმ.

— როგორ მოახერხეთ ეს? — გაიმეორა კითხვა მეცნიერმა.

— უთვალავჯერ მოვახდინეთ თუთიის ქიმიური ანალიზი და ბოლოს...

— თქვენ ხომ ახალი ქიმიური ელემენტი აღმოაჩინეთ! ეს შესანიშნავი მიღწევაა! რას დაარქმევთ?

ცოლმა და ქმარმა ერთმანეთს გადახედეს. „შენ თქვი, შენ“, — თითქოს ამბობდნენ მარის თვალები.

პიერმა დაიწყო:

— ჩემი მეუღლე ერთვებით პოლონელია. თქვენ, ბატონო პროფესორო, იცით, რომ მისი გვარია სკლოდოვსკაია. მისი ქვეყანა დღეს დამპყრობელთა უღელქვეშ გმინავს. თავის ქვეყანაში მუშაობა მან ვერ შესძლო, საფრანგეთში ჩამოვიდა და აქ შევეუღლდით. მე ფრანგი ვარ, მაგრამ კარგად მესმის ჩემი ცოლისა. მას უყვარს თავისი ქვეყანა და მუდამ ახსოვს იგი. გადავწყვიტეთ, — ახალ ელემენტს პოლონიუმი დავარქვათ.

ფარღალალა ფიცრული, რომელიც კიურების განკარგულებაში იყო, სულ არ ჰგავდა სამეცნიერო ლაბორატორიას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ, ამ ფიცრულში დაიბადა ახალი მეცნიერება რადიოაქტივობის შესახებ, რომელმაც გადატრიალება მოახდინა მსოფლიო მეცნიერებაში. პირველი ელემენტის აღმოჩენის შემდეგ, კიურებმა მალე მეორე ელემენტი





— რადიუმი აღმოაჩინეს. ახლა მათ პოლონიუმისა და რადიუმის სუფთა სახით მიღება სურდათ. ეს დიდად დაეხმარებოდათ ახალ ელემენტთა თვისებების შესწავლაში.

ეს ძნელი საქმე მარი კიურიმ იკისრა. 40 გრამი რადიუმის მისაღებად ტონობით მადნის გადამუშავება სჭირდებოდა. პიერი იმხანად პარიზის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა და მოუცლელი იყო.

მომქანცველი შრომა ერთი დღითაც არ წყდებოდა. მარის ზამთარში ხელ-ფეხი ეყინებოდა სიცივისაგან; გაზაფხულზე წვიმის წყალი ღვარებად ჩამოდიოდა ლაბორატორიაში, ზაფხულში კი სიცხისაგან სუნთქვა ჭირდა.

სალამობით პიერი შინ ბრუნდებოდა და ცოლ-ქმარი ერთად აგრძელებდა ცდებს. ბოლოს, როგორც იქნა, მიიღეს სუფთა პოლონიუმი და რადიუმი.

ამ ელემენტებს მეტად უცნაური თვისებები აღმოაჩნდათ. 140 დღის შემდეგ პოლონიუმი თავისთავად ორჯერ ნაკლები მოცულობის ხდებოდა; რადიუმი კი მხოლოდ 1590 წლის შემდეგ განახევრდებოდა. გარდა ამისა, რადიოაქტიური ელემენტები, რომლებმაც დაკარგეს გამოსხივების უნარი, — საესებით სხვა ელემენტებად იქცეოდნენ, ესე იგი მეცნიერება შემცდარა, როდესაც ამტკიცებდა — ერთ ელემენტს მეორე ელემენტად გადაქცევის უნარი არა აქვსო! ატომი კიდევ უფრო პატარა ნაწილაკებისაგან შედგება... გამოსხივება — სხვა არაფერია, თუ არა ამ ნაწილაკების გამოსხივება. რადიუმის ატომი, რომელიც ჰკარგავს ნაწილაკებს, იქცევა ორ სხვა ატომად — ჰელიუმისა და ტყვიის ატომებად. ასე რომ, მყარი რადიუმი იქცევა გაზად — ჰელიუმად, და ტყვიად.


ამ გენიალურმა აღმოჩენამ ახალი ერა შექმნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში.

მსოფლიოში ატომის ერა დაიწყო. ამ აღმოჩენისათვის პიერ და მარი კიურები მრავალჯერ იყვნენ დაჯილდოებულნი, 1923 წელს კი ნობელის პრემია მიიღეს.

...რა იცოდა მაშინ მარი კიურიმ, რომ სამიოდე წლის შემდეგ, უბედური შემთხვევა ხელიდან გამოაცლიდა საყვარელ მეუღლეს, ხოლო თვითონ... კიდევ ოცდაათ წელიწადს იმუშავებდა საყვარელი მეგობრის გარეშე და მეორეჯერ მიიღებდა ნობელის პრემიას.

პოლონიური ეურნალიდან „გორიზონტი ტენიკი“.

ნახატები დიმიტრი ზარაფიშვილისა



ი. გომეზაშვილი: ის ხაუცხოო ციხე-სიმაგრე რომელსაც ცოდნა, განათლება, კულტურა, ცივილიზაცია ეწოდება, აგებულია კაცობრიობის საუკეთესო შვილთა, მოღვაწეთა და მოაზროვნეთა მიერ მრავალი საუკუნის მანძილზე, ახლის ძიების, ბრძოლის, დამარცხებებისა და წარმატებების შედეგად, და მასში შესვლა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც დაჯილდოებულია თავდადებული შრომის-მოყვარეობით, სწავლის უშრეტე სიყვარულით, მუდამ წინსვლის გზებით, უანგარო და სპეტაკი სინდისით.

ეზოკპე: ქედმაღალი და ჭიუტი ყველაფერს თავისი ჭკუით აკეთებს, სხვის რჩევა-დარიგებას ყურს არ უგდებს, ამიტომაც მალე ემსხვერპლება ხოლმე თავის შეცდომას.

ფ. ვოლტერი: უდიდესი სიამოვნება, რომელიც კი შეიძლება განიცადოს პატიოსანმა ადამიანმა, ესაა — თავისი მეგობრებისადმი სიამოვნების მინიჭება.

მ. პალინინი: უმჯობესია ნაკლები წაიკითხო წიგნები, მაგრამ მეტი იფიქრო მათ შინაარსზე, ამ წიგნებში გამოყვანილ ადამიანთა ხასიათებზე, შეეცადო შეაფასო წიგნი, ჩაიწერო მის შესახებ შენს უბის წიგნაკში.

ფ. კუპერი: უსაქმური კაცი ჭგავს საათს, რომელსაც არა აქვს ისრები.

ლ. ლეონოვი: ყოველივე, რაც ადვილად, უშრომლად კეთდება, საეჭვო ღირებულებისაა.


ფ. მონტესკიე: რაც უფრო მეტს სწავლობ, მით უფრო მეტად გრძნობ სწავლის მოთხოვნილებას.

მ. ბიუპო: მე მიყვარს პოპულარობა, ეს ბედნიერებაა; მაგრამ მე მინდა სასარგებლო ვიყო, ეს — მოვალეობაა.

საქონელი საქათი

ზურაბ ლორთქიფანიძე

ნახატები რევაზ ცუცქერიძისა



ეს კაცი — თედორე გახლავთ, — ვარძიის ასავალ-დასავლის ზეპირად მცოდნე, თედორე — ვარძიის ფრიალოსებრ მკერდჩამოთლილი და ვარძიისებრ ტანახოვანი, თედორე — ვარძიისებრ დროული ვაჟკაცი... წლოვანება რომ ჰკითხოთ, უთუოდ მოგივებთ — ვარძიის ხნისა ვარო. და მართლაც, ამ გაჭლარავებულ კაცს რომ შეხედავ, გეგონება, ვარძიის ოსტატებს გვერდით მდგა, კლდეში გამოჭრილ ოთახებს მათთან ერთად აპირკეთებდა... შემდეგ ყველანი წავიდნენ სამარადეამოდ და თითქოს თედორე დატოვეს ვარძიის მწყემსად.

აი, თედორე წინ მიუძღვის ნაცრისფერ შარვალ-ხალათიან ინტერნატელებს, მიუძღვის მოწიწებით, სიამაყითა და რაღაც რაინდული კდემით, — ოთახიდან ოთახში, დარბაზიდან დარბაზში, ზედა სართულებიდან ქვედა სართულებში.

ვინ იცის, რამდენჯერ შესულა თედორე ამ ოთახებში, და მინც, — ყოველ ოთახში ისეთი იერით შედის, თითქოს პირველად ათვალეირებდეს კლდის ქალაქს. ინტერნატელი ყმაწვილები, მერაბის ხელმძღვანელობით, წუხელ მოადგნენ თბილისიდან ვარძიას. რამე ტურბაზაში გაათიეს. კარგად გამოძინებული ბიჭები დილაადრიან წამოფრინდნენ.

ქურციკებივით დახტოდენ ოთახიდან ოთახში, გადასასვლელებზე. მერაბი და თედორე ფარნებით გზას უნათებდნენ ყმაწვილებს.

— ეს, თამარის სადარბაზო გახლავთ, — ჰყვება თედორე, — თამარ მეფე ომიანობის დროს აქ შემოხიზნულა, აქ იწვევდა დიდებულთა თათბირს, აქედან განაგებდა ქვეყნის ბედობას. თამარი აქ დარბაზი მდგარა, ქვეყნის გადასარჩენად ულოცნია, უტირია, ღამეები თეთრად უთევია თმებჩამოშლილს..

ირგვლივ შემოხვეული ჭაბუკები ერთხელ კიდევ შეათვალეირა, — ქართველების გარდა სხვა ეროვნებისანიც შენიშნა.

— უჟაკრავად, — მოიბოდიშა თედორემ, — იქნებ ჩემი ქართული ყველასათვის არ იყოს გასაგები.

— როგორ არა, ყველას გვესმის, — იყო პასუხი.

ამასობაში მერაბი ჩგუფს გამოპყოფოდა — შავგვრემანი ვაჟკაცი სევდაგადაკრული თვალებით ათვალეირებდა იქაურობას.

შუბლზე თითი მიუდვია, რაღაცას იხსენებს, გადადის ოთახიდან ოთახში, კლდის სამიოდე საფეხურს აირბენს. დაკარწახებულ ხელს კლდის შიდა ჭრილში იდაყვამდე შეჭყოფს. ღრმად აფათურებს მარჯვენა ხელის თითებს, რაღაცას სწვდება თითების ფრჩხილებით, ფხაქნის თითბრის კოლოფს, უნდა ღრმად წასწიოს ხელი. გაშიშვლებულ იდაყვზე მწარედ კბენენ კლდის ჭრილის ოღრო-ჩოღრო წვეტები.

მერაბი თითბრის კოლოფს ხსნის, სათუთად შეხვეულ სურათს ქალაქს ალდს შემოახვევს, დასცქერის... დასცქერის თავისი მეგობრების სურათს, რომელიც ომამდე, პიონერთა ბანაკიდან ექსკურსიაზე წასულებს გადაუღიათ და სამახსოვრო ადგილას შეუნახავთ. პირობა დაუდვიათ: ჩვენს შორის აქ ვინც პირველი მოვიდეს, ამ სურათს დახედოს — მოიგონოს ჩვენი მეგობრობაო.

მერაბი დასცქერის სურათს და ფიქრობს: „იქნებ ჩემს მეტი აქედან ცოცხალი აღარავინაა“.

გაახსენდა თავისი ბავშვობის პირველი დღეები, ბაჭულისთან მეგობრობა, ქალაქში წამოსვლა და ათასი რამ. მარცხენა გულის წიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო, წვრილად დაწერილ დღიურებს თვალი გადაჰკრა, მერე მზერა ინტერნატელებზე გადაიტანა. მოსწავლეებს შეუმჩნე-





ველი არ დარჩენიან ფიქრებში წასული მასწავლებელი... ცნობის-მოყვარე ბიჭები ერთმანეთს ჩუმად ეჩურჩულებიან.

...ფრთხილად ეშვებიან ვარძიის სიმალეებიდან ინტერნატლები. მათთან ტკბილი საუბრით გართულ თედორესაც ახალგაზრდული იერი გადაჰკრავს.

„სხენის კეკე“

გაზაფხულის მზიანი დღე იყო. თედორე ბექობზე მკლავისის-სხო ვაზს ეფერებოდა. გაველურებული ვაზი თითქოს ხამობდა კაცის ხელის შეხებას.

— ველურად შემორჩენილ ამ ვაზს „ცხენის ძუძუს“ ეძახიან, — უყვება ინტერნატლებს თედორე, — უკანასკნელი თურქობისას გადაშენდა ეს დიდებული ჯიში. კარგი ვაზი ყოფილა, — დიდრონი მტევნები ვარსკვლავთა ტოლა მარცვლებით ივსებოდნენ თურმე.

თედორეს ლევანი მიუახლოვდა. — ძია თედორე, ნუთუ აღარსად გვხვდება ამ ჯიშის ვაზი?

— არა, შვილო, აღარ გვხვდება. — ხომ შეიძლება, თუნდაც ეს ერთი გაველურებული ვაზი მოვაშინა-ურით?

— შეიძლება, ჩემო კარგო, —

წარმოსთქვა მრავალმნიშვნელოვანი კილოთი, ლევანს ბეჭებზე ხელი მოუთათუნა, დანარჩენებსაც თვალით მიეალერსა; თვალში მოხვდა ყურადღებად გადაქცეული რუსი ბიჭუნა — იგორი.

თედორემ სიყვარულით შეთვალ-ერა გულოია რუსი ბიჭი, ყურში ისევ ჩაესმა მისი ხმა: — „როგორ არა, ყველას გვესმის“.

იგორს სითამამე შეემატა: — ძია თედორე, ალბათ, იმ გატილებულ ზეგნებზეც ხარობდა ეს ვაზი, — ხელი გაიშვირა დასავლეთისკენ, — მერე მტრებმა გადაბუგეს და დახანძრეს, არა? — ჩაინალვლიანა ხმა იგორმა.

— ჰაი, ჰაი, რომ სწორედ ეგ რეა. შვილებო! — ამოოხვრით თქვა თედორემ.

შუადღის მზე მძლავრობდა.

ვარძიას ხეივანი გადასდიოდა, ხრიოკებში, ღრანტეებში მწვანე ხვლიკები დაცოცავდნენ. სიცხისაგან იწვოდა ყველაფერი. მდინარე ხალისიანი ტალღებით ვარძიის კლდეებს ესიყვარულებოდა.

ბექობზე ელვარებდა ერთადერთი ძირი ვაზისა — „ცხენის ძუძუ“.

ქვევით, ტურბაზის მიდამოებში. ნაირ-ნაირი მარკის ავტომანქანები ირეოდნენ და ერთმანეთს გზას უთმობდნენ. სხვადასხვა მხრიდან მოსული ექსკურსანტები თადარიგს შედგომოდნენ.

სახელდახელოდ დანთებულ ცეცხლზე, ქვაბებში. წყალი დუღდა. ზოგან ცხვრის ფეშხავი იხარშებოდა, ზოგან ილუკებოდნენ უკვე, ორიოდე ჭიქით ლოცავდნენ ვარძიის ოსტატებს. ნაწილი ხალხისა ადიოდა უთვალავი ოთახების, დარბაზების, გვირაბების დასათვალიერებლად, ნაწილი — ჩამოდიოდა. იყო ზიმზიმი, ფუსფუსი. ფერდობებზე ჯგუფ-ჯგუფად ჩამომსხდარიყვნენ. ერთმანეთში ირეოდნენ ისტორიის გამირთა და ცოცხალ, დღევანდელ აღამიანთა ლანდები. ლანდებით მოხატულიყო მზედაფრქვეული ვარძიის მიდამოები.

ჩვენი ბიჭებიც აქ იყვნენ, ამ ორ-ომტრიალში.

ბრიალებდა მზე.

მზიანი დღე ვარძიის ოთახების ზღურბლთან თრთოდა, იჭვრიტებოდა დარბაზებსა და გვირაბებში.



გაგურიზ ზარი

კლდოვან დარბაზებში მხოლოდ სიჩუმე სუფევდა.

გარეთ კა ხმაური, სიცოცხლისეული ფუსფუსი იყო.

მერაბმა მოსწავლეები ახმო: — ცოტა კიდევ მიიარ-შოიარეთ, მერე მზეც დაცხრება და. ჰაილა — წაველთ...

მერაბ ხელმძღვანელი ღიმილით გასცქეროდა ჰაბუკებს და ფიქრობდა: — დღეს, გზაზე, უთუოდ წავუკითხავ ბავშვებს ჩემს დღიურებს; ბევრი ობოლია ამათ შორის, სამამულო ომში დაჰკარგვიათ მამები, ზოგიერთს — მამაც და დედაც. მეც გამოცდილი მაქვს ობლობა. იქნებ, ჩემი ნამბობიდან რაიმე გულის მალამოდ მიიჩნიონ.

მერაბი განმარტოვდა და სურათი ამოიღო. ცალ-ცალკე აკვირდებოდა თვითეულ სახეს. სურათში, მის გვერდით, ბაჭულია იჯდა, ბაჭულიას გვერდით — ბორისი, იქეთ კიდევ — ვილაც წითელყელსახვევიანი. მერაბი განსაკუთრებით ჩასცქეროდა ბორისს, — ისე მოეჩვენა, თითქოს ამ წუთში დაშორდა ეს ბიჭი და ქვევით, მტკვრისკენ ჩაირბინა თეთრ ბილიკზე.

ნასამხრალზე საბარგო მანქანა თბილისისკენ მოგრიალეზდა. ირგვლივ, ნაფენარებით ჩამოზვინულ მთებს შორის, გზა და მტკვარი წყვილად გაშოტილიყო.

მერაბმა დღიური გადაფურცლა...

„ყოველ ზაფხულს სოფელში ვატარებდი.

ბაჭულიას ბლის და ლეღვების ისეთი კენწეროები ქონდა დაპყრობილი, რომლებიც მესკია ჩიტის დაფრენითაც კი ირწეოდნენ... კაჟინარისა და მწვანეების საძოვრებზე ერთად ვწყემსავდით საქონელს. ზოგჯერ, ფარნაოზისა და დიანოზის ატმებზე გადაცოცდებოდა ბაჭულია და ჩემთვისაც უბით მოჰქონდა მწიფე ატმები.

ფარნაოზი და დიანოზი ატმების ძირშიაც რომ ყოფილიყვნენ, მაინც აიპარებოდა ბაჭულია ხეზე, ტოტებს დაარხევდა. მწიფე ატმები ხათქახუთქით აცვივოდათ თავზე და ბეჭებზე ფარნაოზსა და დიანოზს. გამამწიფებელი ატამი ტყაპანს მოადენდა მათ მოტვლებილ თავზე.

ფარნაოზი ხის ძირში დაიწყებდა ჯუჯლუნს, თვალზე ხელმოფარებული შეუჭვრეტლა ტოტებგანიერ ხეს:

— ქარი თუ არხევს, ბოშო, აბა კაცის სული ზედ არ ჩანს და....

— ვეყო, ქარის ქროლვას ვერა ვგრძნობ და, რა ვიცი, — კამათობდნენ მოხუცები...

ღონიერი გლეხკაცობა დაუღვაშებულ ყანებს ამოროდებდა.

შუაცეცხლზე ყოველ ოჯახში კვაწია დღულდა. თავსაფრიან დედაკაცებს ბოსტნებიდან მწვანილი გადმოქონდათ.

მხრებზე კალათშედგმული ქალები ყანებისაკენ მიირხეოდნენ დაბალი სადილობის უამს.

მუშაობდა სოფელი და შუბლიდან ოფოს იწმენდა ნიავის ჩამოქროლებისას.

არც მე და ბაჭულია ვიყავით უქმათ. სამწყურსურში საქონელს ვსდევდით. რიგრიგობით მოვაბრუნებდით ყანისპირისაკენ გაპარულ, გაწუწუებულ მოხვერს.

ნასამხრალი გლეხობა ისევ მოროდს შეუდგებოდა, მზე მთას ეფარებოდა, ხალხი იყურებოდა ჩამონგრეულ სამრეკლოსკენ, — ელოდნენ ბაბუჟის ზარს...



ბაჭულიამ ხელით მანიშნა, — უკან გამომყევით. ჩვენ მთის ძირში ვედექით საქონელს. მთაზე სირბილით ავედით. ხავსმოკიდებულ საყდარს ოღროხოლორო კიბეებით აპყვა ბაჭულია, გზა და გზა ლოდებიდან ხავსს პოტნიდა, მუჭში იგროვებდა. იგი გარეული კატის სიფიცხითა და სიმარდით მიცოცავდა მალა. დასწვდა ზარის ენას, ხავსი სქლად შემოადო, ზედ ფოლადისფერი თამთის ხალათის ნახევი შემოახვია. მერე დავემვით დაღმართზე და მთის ძირთან საქონელს დავუღვქით.

დაღლილი ნაბიჯებით ამოდიოდა ბაბუჩი. ჭრელი ნაჭრებით დაკერებული თეთრი ანაფორა ეცვა. მკერდზე ახლადგაჩეხილი ცხვრის მატყლივით თეთრი წვერი ეფინა და თეთრადვე გადაბანჯგვლული წარბები ქონდა.

ბაბუჩი ღვთის დანგრეულ სამეფოში გარინდული მედიდურობით ადიოდა, გრძნობდა, — ღვთის სამსახურს მარტოოდენ იგი შერჩენოდა ამ სოფლად. მიუახლოვდა ზარს, პირჯვარი გადაისახა სამჯერ, ფერდობებზე გაფენილ ბალ-ვენახებს, შიგ მოტრიალე მშრომელებს გადახედა. ზარის ენაზე ჩაბმული თოკი მაგრად მოსწია. ზარის თავკომბალა ენა მიენარცხა ფოლადის მკერდს; ზარმა წკრიალა ხმის მაგიერ, დაგუბული ხმა გამოსცა.

ბაბუჩი კინაღამ გადმოვარდა იმ სიმალლიდან. თავი შეიმავრა. ზარის დარეკა რამდენიმეჯერ სცადა. გაფითრებულმა წამოიძახა: — ღმერთო, რა შეგცოდე! — ცრემლმორეულ ხმას პირდაპირ ზეცაში, ღმერთის გასავგონად აგზავნიდა. მუხლებზე დავარდნილი, მალა ხელმეპყრობილი იდგა ჩამონგრეულ სამარეკლოში.

ყანაში მომუშავე, თოხის ტარზე დაყრდნობილი გლეხკაცები ირიბად იყურებოდნენ ბაბუჩის სამარეკლოსკენ.

ბაჭულიას ცისფერ თვალებში შიში ეპარებოდა:

— ეს რა ჩავიდინე! ბაბუჩი არ გაგიტდეს!..

ბაბუჩი გამხმარ თითებს ზარის ენას უპოტინებს.

— ხავსი! — აყვირდა ბაბუჩი, — ხავსი მოდებია ღვთის ენას.

აქანკალეზულ მუხლებს ხელებით იმაგრებს. იქვე მიგდებულ ჯირკზე ჩამოჯდება, ცოტა სულს მოიბრუნებს.

მერე ზარის ენას ხავსი შემოაცალა და ჩამოჰკრა.

ბაბუჩის თვალები გაუბრწყინდა.

პიონერთა ბანაკი

პიონერთა ბანაკს გადაღმა, მაყალი ვაშლებზე დამყნობილი „სამეფო“ ვაშლები შრიალებდნენ.

ბანაკში ხალისით, თამაშით, მეცადინეობით ვატარებდით დროს. ხშირად გავდიოდით საკოლმეურნეო მინდვრებში. ვშრომობდით, ვხარობდით, ვცნობოდით ახალ გარემოს. მზეზე ვირუჯებოდით.

ჩვენი ბანაკი ტაშისკარის სკოლის ორსართულიან შენობაში იმყოფებოდა. თვალწარმატაცი ხედი იშლებოდა იქიდან. რკინიგზის ერთი ტოტი ბორჯომის ხეობაში მიიკლავებოდა. ჩამოქროლებდა მატარებელი, ორთქლმავლის ქშენა და ქაქანი იქაურობას აყრუებდა; ორთქლმავლის მილიდან ბოლქვ-ბოლქვად ამოვარდნილი კვამლი მატარებლის თავზე ტალღებდნენ გადადიოდა, მერე ხელმარჯვნივ გადაუხვევდა, სააკაძის დროინდელ დაწყვილებულ ცაცხვებს კენწეროებზე გადაეკვებოდა.

აგერ, ბაჭულია მარჯვედ მოაბობს მტკვარს. ვხედავ, როგორ მოსტაცა მტკვარს რუსი ბიჭუნა — ბორისი. ვხედავ, წელამდე მოწვდენილ მტკვარში ბაჭულიას და მის კისერზე შემოხვეულ ბორისს. ბორისი გონზე მოდის, ბაჭულიას თვალებში ჩასცქერის.

...ამის მერე ბორისი ბაჭულიას რუსულს ასწავლის, ბაჭულია კი ქართულს ასწავლის ბორისს.

ძმებავით მუღამ ერთად იყვნენ.

მთელ ბანაკს სალაპარაკოდ ქონდა მათი მეგობრობა.

ბანაკის დახურვის უკანასკნელ დღეებში ვარძიის დასათვალიერებლად წამოვედით. გზა და გზა მთებზე, დახავსებული, ჩამონგრეული ციხეები მაინც ამაყად იდგნენ. პირველად ვიყავით ვარძიაში. სურათი გადავიღეთ. ერთი სურათი თუნუქის კოლოფში ჩავდევით. ვარძიის კლდის ქრილში ღრმად შევინახეთ.


უპოჯირო აივანი

ძია სანდრო სიძემ წვეულებაში დაპატიჟა. თამადამ აიყოლია ყველანი, ღირიყორივით ხელმძღვანელობდა საერთო ლხინს.

ძია სანდრო შეუღმწველად ადგა და სახლის უკან, აივანზე გავიდა, ჯერ კიდევ მოუთავებელ, უმოაჯირო აივანზე. ვარსკვლავიანი ღამე იყო. ღვინომეგდარი მოხუცი ხან ცას, ხან მიწას გასცქეროდა. მან ხომ მიწისა და ცის საიდუმლოების კითხვა იცოდა. ორ ფურცელს კითხულობდა მთელი მისი სიცოცხლე: ფურცელს დედამიწისას, ფურცელს ცისას. კითხულობდა ახლაც, ოღონდ უფრო დაბინდულად. ფეხზე დგომაც უჭირდა, ხელის მომკიდებელს ნატრობდა და... ჰა... მოულოდნელმა, შემზარავმა ხმამ მთელი სუფრა წამოშალა. საწყალ მოხუცს მეორე სართულის უმოაჯირო აივნიდან პირდაპირ გადაელაჩებინა...

...საავადმყოფოში გამოკეთდა და, შინ რომ ბრუნდებოდა, გზაზე ხალხი ხვდებოდა. შუადღე იყო. წაბლოვანში თეთრ წისკვილს ჩრდილი წინ მოექცია ქუდის წინა ფარფლივით.

— ჩვენს სანდროს სიცოცხლე და გამარჯვება.



- კიდეც კარგად გადარჩა...
- მაინც, რაღა უკანა აივანზე გავიდა.
- რაღა ეგ ეჭირვებოდა!
- ისეთი შვილის დამკარგავს...

ზაფხულის პაპანაქება დგას. წევს სანდრო წაბლის ოდა სახლში. ღღეს ცოტა მოიხედა.

ლოგინზე წამოჯდა. ორი მოხარული კვერცხი, ჭადითა და პრასით, მაღიანად შეჭამა, ღვინოც მოითხოვა. ქვევრიდან ახალამოღებულ ღვინოს წელიან ჭიქაში გახედა: — იფ, იფ, კონიაკით შენახულა ეს დალოცვილი, — თქვა სანდრომ.

ერთი ჭიქა გადაჰკრა, მეორეც, მესამეც. „უჰ, რა ღვინოა, ამის ჭირიმე... ბაჭულიას ჯერაც არ დაუჭაშნიკებია შარშანდელი ღვინო, აფსუსი არ არი, ხალხო“. ძია სანდრომ ამღვრეული თვალები მეზობლებს და ახლობლებს შეანათა.

აღვზნებოდა თვალები, დაწვები, თითქოს სამოცდაჩვიდმეტი წლის ძალ-ღონე, ვენახებსა და ყანებში დახარჯული, ისევ დაბრუნებოდა. ბურანში გადასულ თვალებს უკანასკნელი ძლიერებით აბრიალებდა. სულგანაბული შეპყურებდნენ აბორგებულ სანდროს.

მისი თვალები ეზოს გადაღმა ერთ წერტილს მისჩერებოდნენ, სადაც კაყინარის ხშირი, ბროწეულიანი ტყე შრიალედა. თვალები მოჭუტა, იხედება შორს, სულ წინ... წამოიწია, თვალებში სინედლე და ალტაცება ჩაუდგა.

— მომისწრო, მომისწრო! ყოჩად, ბაჭულია! აი. კაყინარის ტყეში გადმოუხვია... მოდის, მოდის, მოფრინავს... დაკალით მოზვრები, ხარები, გოჭები, გაშალეთ ეზოში დიდი სუფრა...

აჰა, მოდის... ეღირსა... ეზოში შემოდის, ძალღმა არ უკბინოს, გახედეთ!..

შვილის შესახვედრად წინ გაშვერილი, დააბედებული ხელები საწოლზე ჩამოუვარდა.

ძია სანდროს კუბოსა და სურათის წინ ბაჭულიას სურათიც მიჰქონდათ ახალგაზრდებს.

თითქოს ორ მკვდარს მარხავდნენ ერთად.

მაყვლის ჯაგებიანი ბილიკით პროცესია აღმართს შეუდგა. მუდამ სევდიანი სასაფლაო ცაცხვებიდან იხედებოდა...“

მერაბმა კითხვა დაამთავრა. თვალეები მოიფშვნიტა. წელში გასწორდა. გულის ჯიბიდან სურათი ფრთხილად ამოიღო. სურათი ხელიდან ხელში გადადიოდა.

იგორი დაპყურებდა ბაჭულიას გვერდით მდგარ ბორისს. სახე ენთებოდა. თვალებში ნაპერწკლები ემატებოდა. საღამოს ბინდი ჩამოწოლილიყო და კარგად ვერ არჩევდა. მაინც ჩაშტერებოდა. ლევანს ხელიდან სურათი გამოსტაცა, თვალებთან მიიტანა, შეიციწო საოცარი მსგავსება ტუჩების მოხაზულობაში. თვალების ჭრილში, დედისაგან ერთხელ ნაჩვენები ასეთი სურათი წარმოუდგა თვალწინ. „მამაჩემო!“ — წამოიძახა. ომში დაკარგული მამა ვიპოვნეო. ძია მერაბს მიეჭრა, გადაეხვია. ეამაყებოდა საქართველოს მიწაზე მამის მიერ ძმობასა და სიყვარულში გატარებული დღეები. რა ძვირფასი გახდა ეს დღეებები მისთვის! — მამასაც რა მაღლიანი მეგობრობა სცოდნიაო, — იფიქრა და უფრო წელგამართული ამოუდგა მხარში მეგობრებს. იგონებდა მამისა და ბაჭულიას თავგადასავალს, მერე ბაჭულიას მამის აგონიას, ბაჭულიას ჩამოსვლის მოჩვენებების სცენას. იგონებდნენ ყველანი ერთად...

ბორისი თითქოს ხელახლა დაიბადა იმ დღეს.

მათ ზევით თვითრმფრინავმა ზეცა გააპო და უხმოდ გააყარეს თვალი. მერე სიმღერა დააგუგუნეს:

ხარს ვგეგვარ ნაილაღარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ, ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, — მძინარიც ამას ვლულუნებ.

მოგრილებდა თბილისისაკენ მანქანა, მოგუგუნებდნენ ბიჭები.



ბიძოვსა უნათნობის
 ბიძოვსა „წაიხვერ“
 C. მარშაკი —

მ ა რ შ ა კ ი

გარდაიცვალა სამუელ მარშაკი, დიდი მწერალი, ბავშვების გულითადი მეგობარი. თქვენ ჯერ წერა-კითხვაც კი არ იცოდით, როდესაც ზეპირად ამბობდით მის ლექსებს: „მისტერ ტვისტერი“, „ფოსტალიონი“, „ხანძარი“... ამ ლექსებს თქვენი უფროსები გიკითხავდნენ.

1958 წელს, მარშაკმა ქართველ ბავშვებს ჩვენი შურნალის მკითხველებს უხახხოვრა თავისი ფოტოსურათი და უძღვნა გულთბილი სტრიქონები.

ქართველო ყმაწვილებო,
 შორეული როდი ვარ,
 მეგობარი მოვდივარ,
 ქარს მივანდე აფრები.
 კაკასიის თოვლიან
 მწვერვალებზე მოვდივარ,
 მომაქვს ბევრი მოკითხვა,
 მხიარული ზღაპრები.

მარშაკის პოეზია აღიდებს სამშობლოს, აღამიანში აღვივებს კეთილშობილების, სამართლიანობის გრძნობას.

მარშაკი მარტო საბავშვო მწერალი როდი იყო. იგი მრავალი, ბრწყინვალე სატირული ნაწარმოების ავტორია. მან შესანიშნავად იცოდა მსოფლიო ლიტერატურა.

ს. მარშაკმა დიდი ღვაწლი დასდო საბავშვო წიგნის გამოცემისა და პოპულარიზაციის საქმეს.

ჩემო ენა, ძირში ხარ

გოსჯუჯუნი



— „იცოდე, დედას ვეტყვი!“ — ჩვეულებრივ, ასე ამბობდა ხოლმე თამაზი, როდესაც ბავშვები ისე არ მოექცოდნენ, როგორც მას სურდა, და დედასთან გარბოდა საჩივრულად. ეს პატარაობისას იყო. მაგრამ სკოლაში რომ შევიდა, ეს ჩვეულება არც იქ მოიშალა და მალე მთელ სკოლაში ენატანის სახელი დაიმკვიდრა.

ერთხელ, შესვენებაზე, დერეფანში დასერილობდა და გულმოდგინედ ადევნებდა თვალს, რას აკეთებდნენ თანატოლები. ახლა მას გულის მოსვლის ცოტა მიწევი კი ჰქონდა. — გუშინ ფეხბურთს რომ თამაშობდნენ, არც ერთმა თანაკლასელმა არ დაუძახა სათამაშოდ. ამაზე მაშინ ვერაფერი თქვა, ვერც მასწავლებელთან იჩივლა, მაგრამ იმედს არ კარგავდა: — მალე გადავიხდით სამაგიეროსო.

უცებ, დერეფნის კუთხიდან ჩურჩული მოესმა; კარგად გაიგონა: მისი სახელი ახსენეს და მერე გულიანად გადაიხარხარეს. მიუახლოვდა თუ არა, ბავშვებმა საუბარი შეწყვიტეს. ახლალა დაინახა, რომ თინა გულშაგად დაეყენებინათ. ის იყო სწორედ, თამაზის მიახლოება სწრაფად რომ ანიშნა ამხანაგებს. ცნობისმოყვარეობისაგან სული წაუვიდა; მაგრამ რას გააწყობდა, ისევ დუმილი არჩია და, ვითომც აქ არაფერი იყო, ცხვირაწეულმა აქეთ-იქით დაიწყო სიარული. როგორც კი ორიოდ მეტრით ვაცდა იჭაურობას, ბავშვებმა კვლავ გააბეს ჩურჩული. ახლა მისი სახელი არ უხსენებიათ, მაგრამ ის კი კარგად გაიგონა, რომ სადღაც ფანჯარა ჩემტვრიათ. მასწავლებელმა არ გაგვიგოსო, — აფრთხილებდნენ ერთმანეთს.

— „გიჩვენებ სერის!“ — გაიფიქრა თამაზმა და თინას აედევნა, ეგებ მითხრას ვინ გატეხა ფანჯარაო. დაეწია, ხელი ჩაავლო და დაემუქრა:

— ყველაფერი გავიგონე, რაც თქვით...

— გაიგონე და ძალიანაც კარგი, — მშვილად უპასუხა თინამ.

— თინა, მითხარი, სად გატეხეს ფანჯარა და დღეიდან არაფერს გაწყენინებ.

— თუ ძალიან გინდა, გეტყვი, ოღონდ არითმეტიკაში დავალება გადამაწერინე, — შემრიგებლური კილოთი უთხრა თინამ.

„ოჰო, ახლა სადღა წამიხვალ? — გაიფიქრა თამაზმა — გაკვეთილი არ ჰქონია დამზადებული“.

— კარგი, გადაგაწერინებ, მხოლოდ მითხარი, სად გატეხეს ფანჯარა?

— იქ გატეხეს, ტანვარჯიშის დარბაზში, — გამოტყდა თინა.

როგორც კი მასწავლებელი კლასში შემოვიდა, თამაზმა ხელი ასწია. — რა მოხდა, თამაზ? — იკითხა მასწავლებელმა.

— ბიჭებმა ტანვარჯიშის დარბაზის ფანჯარა ჩამტვრიეს.

დარბაზის ფანჯრები კლასიდან კარგად ჩანდა. მასწავლებელმა ეზოში გადაიხედა.

— რომელი ფანჯარა? — აი, კუთხეში.

— ყველა მინა რომ მთელია? — არა, მასწავლებელი, ახლა ამბობდნენ სწორედ, გავტეხეთო.

კლასი ახმაურდა, ბიჭები სიცილით იგულებოდნენ.

მასწავლებელი ვერაფერს მიხვდა. თამაზმა გაოცებული მწერა კლასს მოავლო და ოცდაათი მოლიმარი, კმაყოფილი და მხიარული სახე რომ დაინახა, მაშინდა მიხვდა, რომ ყველაფერი მოწყობილი იყო. გააცურეს, მოატყუეს, მთელი კლასისა და მასწავლებლის წინაშე თავი მოჭრეს!

ენა მოიკვნიტა, გაშრა ბიჭი. „ჩემო ენა, ჩემო ენა, ძირში ხარ მოსაჭრელი!“ — ფიქრობდა გუნებაში.

რ. ქობულაძე

ნახატი ვიორგზი თოთიბაძისა

შენ როგორ მოიტყუე?



1940 წლის ერთ წვიმიან დღეს, პოლიციის სერჟანტი ჯონ მარტინი ღრმად დაფიქრებული იჯდა ნიუ-იორკის ელექტროკომპანიის, „კონ ედისონის“ მმართველის კაბინეტში. მაგიდაზე რკინის ნამსხვრევები და ქაღალდის ნაკუწები იყო მიმოფანტული. მისაღებში, ჭერ კიდეც გონსმოუსვლელი მდივანი ქალი შენობაში მომხდარი უცნაური აფეთქების შესახებ ოქმს ბეჭდავდა. აფეთქება გამგეობის სხდომის დროს მოხდა. დაიმსხვრა ფანჯრები, გაიბზარა კედლები, მისაღები ოთახის კარი აფეთქების ტალღამ შეანგრია და მმართველის ოთახში აღისფერი მხრჩოლავი გაზი შეიჭრა.

დამნაშავე ვერ იპოვეს, თუმცა ძალიან არც უძებნიათ. რას იფიქრებდა სერჟანტი მარტინი, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. საიდან უნდა სცოდნოდნათ ნიუ-იორკელებს, რომ იმ დღიდან მოყოლებული, თერთმეტი წლის მანძილზე, ქალაქში ოცდათვრამეტი თვითნაკეთი ბომბი აფეთქდებოდა, მოსახლეობას საშინელი პანიკა, ხოლო პოლიციას სასოწარკვეთა შეიპყრობდა. აბა, ვინ წარმოიდგენდა იმ ღამეს, რომ ჭერ კიდეც რვა წლის წინათ, ტკივილისაგან სასომიხდელი, ავადმყოფობისაგან ჯანგაწყვეტილი კაცი თავის თავს ეფიცებოდა: ნიუ-იორკი უნდა ავაფეთქო.

1941 წელს „კონ ედისონის“ სხვადასხვა კანტორებში კიდეც ოთხი ბომბი აფეთქდა. პოლიციაში შედგა საქმე „გიუ ამფეთქებელზე“. საუკეთესო აგენტებს, მარტინის მეთაურობით, დაევალებათ მისი მოძებნა. აგენტებმა კომპანიის ასობით მუშა და მოსამსახურე დაკითხეს, მაგრამ ამაოდ. მარტინი გაცხებულ იქნა მხრებს. რა ექნა, ერთი წვრილი ძაფიც კი ვერ მოიგდო ხელში, რომ ძებნა განეგრძო. საათობით დასცქეროდა იგი ბომბის ნამსხვრევებს, მაგრამ ჭერჭერობით მხოლოდ ერთი რამ იყო ცხადი: ბომბები წყალსადენის მილის გადანაჭრებისაგან იყო გაკეთებული.

დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და აფეთქებები შეწყდა. პოლიციაში გადაწყვიტეს, „ამფეთქებელი“ ალბათ ჭარში გაიწვიესო. — „ეგების კისერი მოიტეხოს“, — თქვა მარტინმა და პოლიციელებმაც ხალისით უპასუხეს: — „ამინ!“

1944 წელს საქმე „გიუ ამფეთქებელზე“ არქივს ჩაბარდა. მაგრამ... ომის დამთავრებიდან სამი დღე არც კი იყო გასული, რომ ზედ მილიციის სამმართველოს წინ, ტელეფონის ჭიხურში ბომბმა დაიგრგვინა.

ახლა ბომბები არა მარტო „კონ ედისონის“ კანტორებში, არამედ სადგურებში, მეტროში, მაღაზიებში ფეთქდებოდა.

პოლიციას არაქათი გამოეცალა. აფეთქებები სულ უფრო ძლიერი ხდებოდა. რიგით ოცდამეექვსე ბომბი ნიუ-იორკის ყველაზე დიდ კინოთეატრში აფეთქდა. ოცდამეშვიდე ბომბი საჯარო ბიბლიოთეკაში იპოვეს. როდესაც ოცდამეცხრე ბომბი ყველაზე ხალხმრავალ ქუჩაზე — ბროდვეიზე აფეთქდა, ქალაქში უკვე ნამდვილი პანიკა ატყდა.

1956 წლის ახალი წელი ახლოვდებოდა. დიდი ქალაქი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. როკფელერ-ცენტრალში უზარმაზარი ნაძვის ხე ციმციმებდა. ადამიანები საყიდლებზე მირბი-მორბოდნენ. თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა, მაგრამ დაკვირვებული თვალი კარგად შეამჩნევდა, რომ ადამიანებს რაღაც შიშის ჩრდი-

ვაუა, როგორც უნდა ეუფეთქებინა ნიუ-იორკი

ლი დაჭრავდათ სახეზე. ბომბები კვლავ ფეთქდებოდა. პანიკა კვარტალიდან კვარტალს ედებოდა.

ტელეფონის ჭიხურში შესული კაცი ელდანაკრავი გამორბოდა უკან, — ყურმილთან წყალსადენის მილის გადანაჭერი იღო. დაფეთებული მოსწავლეები და მასწავლებლები კისრისტეხით გამორბოდნენ სკოლიდან, — მერხის ქვეშ მილის გადანაჭერი იპოვეს. ერთი თვის მანძილზე პანიკის 160 შემთხვევა აღნიშნა პოლიციამ. ვიცები სარგებლობდნენ ქალაქში გამეფებული პანიკით და ისედაც აფორიაქებულ ხალხს მიღების გადანაჭრებით აშინებდნენ. ყველგან წყალსადენის მილები ელანდებოდათ. „ბომბომანიამ“ მოულოდნელად დალასში, კანზას-სიტში, ფილადელფიასა და სხვა ქალაქებშიც იფეთქა. „გიუ ამფეთქებელზე“ მთელი ამერიკა ალაპარაკდა.

1957 წლის იანვარში, ნიუ-იორკის ერთმა გავითმა გა-

938

მოაქვეყნა მიმართვა „უჩინარი ბომბისტისადმი“. გაზეთი თხოვდა მას, შეეწყვიტა ტერორი და პოლიციას ნებაყოფლობით ჩაბარებოდა. „თქვენ ალბათ გაულთ ნიუ-იორკი, — წერდა გაზეთი. — თუ თქვენ აგვისსნით ამ სიძულვილის მიზეზებს და, თუ ეს მიზეზები დამარწმუნებელნი იქნებიან, პირობას გაძლევთ, რომ დაგეხმარებით“.

თითქმის არავის სჭეროდა, რომ „გიუი ბომბისტი“ გამოეპასუხებოდა ამ მიმართვას; მაგრამ, ყველასდა მოულოდნელად, იგი გამოეპასუხა. რედაქციაში წერილი მივიდა:

„მე თქვენ ყველანი მძულხართ, — წერდა „ბომბისტი“. — დამეხმარებით! ხა-ხა-ხა! საღ იყავით მაშინ, როცა მე ცემენტის იატაკზე ვეგდე და სისხლს ვაფურთხებდი; საღ იყავით, ადამიანებო, მაშინ როდესაც მე სამკურნალო ფულიც კი არ მქონდა. ყველა ჩემს თხოვნას გულცივად პასუხობდით: „უარი!“ „უარი!“ „უარი!“ სიკვდილის კართან მიმდგარი, მე შევლას ველოდი, თქვენ კი მპასუხობდით: „არა!“ „არა!“ „არა!“

ახლა უკვე კარგად მივხვდი, რას ჰქვია თქვენი „დემოკრატია“, „სოლიდარობა“, „ძმობა“. თქვენი დიდი სურვილის მიუხედავად, მე არ მომკვდარვარ. მე თქვენმა სიძულვილმა არ დამანება სიკვდილს. მე ვოცნებობ იმ დღეზე, როდესაც იმოდენა ბომბს გავაკეთებ, მთელი ნიუ-იორკის აფეთქება რომ შევძლო“...

რედაქციამ გამოაქვეყნა ეს წერილი და თან ახალი თხოვნით მიმართა მის უცნობ ავტორს: „ძალიან გთხოვთ, კონკრეტულად მოგვწეროთ, ვინ არის დამნაშავე თქვენს უბედურებაში. პირობას გაძლევთ, რომ დაგეხმარებით სამართლიანობის ძიებაში“.

„ბომბისტმა“ ამ წერილსაც უპასუხა. ისიც გამოაქვეყნდა გაზეთში. „ბომბისტი“ წერდა, რომ მან „კონ ედისონის“ კომპანიაში მუშაობის დროს დაკარგა ჯანმრთელობა. „ამერიკაში ავტომობილის მძღოლი ისჯება, თუ მან ძაღლი გასრისა, მაგრამ აქ არავინ არ აგებს პასუხს მუშის ჯანმრთელობისათვის. მუშის სიცოცხლე ძაღლის სიცოცხლეზე იაფად ფასობს“, — წერდა „ბომბისტი“.

იგი კვლავ იგონებდა, თუ როგორ ემუდარებოდა კომპანიაში პრეზიდენტს, სასამართლოს, გუბერნატორს, მაგრამ ისინი პასუხის ღირსადაც კი არ თვლიდნენ. „რვა წელი ვემზადებოდი შურისძიებისათვის, და აი, 16 წელია, მე ვიხდით სამაგიეროს“.

1957 წლის 18 იანვარს რედაქციაში მოვიდა მესამე, უკანასკნელი ბარათი: „მე მადლობას გიძღვნი ჩემი წერილების გამოაქვეყნებისათვის, ახლა ხალხმა იცის, რატომ მოვიკიდე ბომბს ხელი. მე მეტი აღარაფერი მინდა. ჩემი დღეები დათვლილია, მე ვკვდები. დღეიდან კი პირობას გაძლევთ, რომ აფეთქებები აღარ იქნება. მე გპირდებით ამას. მადლობას ვუძღვნი გაზეთს. იგი მე ისე შელაპარაკებოდა, როგორც ადამიანს. ამის მეტი მე არაფერი მინდა...“

იმ დროს, როდესაც ლინოტიპები „გიუი ბომბისტის“ უკანასკნელ წერილს აწყობდნენ, პოლიციის ოცდათექვსმეტი აგენტი და „კონ ედისონის“ თვრამეტი თანამშრომელი კომპანიის არქივებში იქექებოდა. ლეიტენანტი ჯონ მარტინი (იგი უკვე ლეიტენანტი იყო!) უძილობისაგან აწითლებული თვალებით პირად საქმეებს ათვალიერებდა.

და სწორედ იმ წუთს, როდესაც ქუჩაში გამოჩნდა გაზეთები უზარმაზარი სათაურებით: „იგი ამბობს: ბომბებს აღარ ავაფეთქებო!“ „კონ ედისონის“ არქივში გახსნეს 1981 წლით დათარიღებული ერთი პირადი საქმე. მასში ვიღაც ჯორჯ მეტელსკის 14 განცხადება იღო. „უარი!“ „უარი!“ „უარი!“ — ეწერა გაყვითლებულ ფურცლებზე.

1957 წლის 20 იანვრის ღამეს, პოლიციის მანქანა ნიუ-იორკის მახლობლად ერთ პატარა სახლთან შეჩერდა. ლეიტენანტმა მარტინმა პოლიციელებს ანიშნა — სახლისთვის რკალი შემოერთყვათ; თვითონ კი ორი პოლიციელის თანხლებით შესასვლელისაკენ გაემართა.

ლეიტენანტმა კარზე დააკაკუნა და ყური მიუგდო. მალე კარების იქიდან ფეხის ხმა მოისმა.

— ვინ არის? — გაისმა მოხუცის ხმა.


— პოლიცია! — უპასუხა ლეიტენანტმა.

აგენტებმა პისტოლეტები ამოიღეს, გვერდულად დადგნენ და სასროლად მოემზადნენ, მაგრამ... გასროლა არ დასჭირებიათ. კარები გაიღო და საშუალო ტანის, დაჩივებული მოხუცი პოლიციელებს შინ შეუძღვა.

— თქვენ მეტელსკი ხართ? — ჰკითხა ლეიტენანტმა.

— დიახ, — თქვა მოხუცმა, თავი ხელებში ჩარგო და ხველა ატეხა. მოხუცი კვნესოდა. ორმა ხანშიშესულმა ქალმა იგი სავარძელში ჩასვა. წყალი მიუტანეს. მოხუცი მძიმედ სუნთქავდა და დამნაშავესავით იღიმებოდა.

მარტინი გააოცა მისმა თვალემა. „სულ ბავშვს არ უგავს?!“ — გაიფიქრა ლეიტენანტმა და მოხუცს გაძვალტყავებულ მაჯებზე რკინის ბორკილი დაადო. არა, არ მოელოდა მარტინი, რომ კაცი, რომელიც აგერ, 16 წელია,



ზამთარო და ზაფხულო,
უქანგოდ შენახულო...

ჩამარხულო ბერდიშად,
რამდენი ხნის წინათ,—
ჰაი, შენი ღმერთისა,
ხალიბების რკინავ!

ვითომ ესეც ბედია:
რა ხანია, რა დროა,—
მზეს არ დაუხედია,
მზე შენამდე სად მოვა.

ზამთარო და ზაფხულო,
უქანგოდ შენახულო...

საქართველოს მკვნი

ილია ქვიციანიძე

ტყემ ფოთოლი მოისხა,
აგერ კვირტიც გამოვა,—
მტვერი შენი დროისა
ქარს გააქვს და გამოაქვს.

შენახულო ბერდიშად,
მართლა გასაკვირად,—

ჰაი, შენი ღმერთისა,
ხალიბების რკინავ!
ზამთარო და ზაფხულო,
ქებად გადანახულო...

სულ ასე იკრიალე,
ჩვენი სუჯის კრიალო,
ვინც შენ გაატრიალე,—
ნულარ მოატრიალოს.

ბუნეკად და ბერდიშად,
მტრების გასაკილად,—
ჰაი, შენი ღმერთისა,
საქართველოს რკინავ!

შიშის ზარს სცემდა ნიუ-იორკს, ასეთი იქნებოდა. თექვსმეტი წელი ეძებდა ამ კაცს... მთელი თექვსმეტი წელი. რამდენიმე საათის შემდეგ გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის უამრავი რეპორტიორის თანდასწრებით მოხუცი ყვებოდა:

— იგი ამერიკაში ჩავიდა ლიტვიდან, მამასთან და დედასთან ერთად. მისი ნამდვილი გვარი მილაუსკასია. იგი მაშინ შვიდი წლისა იყო. მამამ ვერ იპოვა ბედნიერება ამერიკაში. მძიმე იყო ჯორჯის ბავშვობა.

1930 წელს „კონ ედისონის“ კომპანიაში, ელექტროსადგურზე ცეცხლფარეშად მოეწყო. „გზა ჯოჯოხეთისაკენ“—ასე ამბობდნენ კომპანიაში ამ სამუშაოზე, მაგრამ მეტი რა ჯანი ჰქონდა. 1931 წლის სექტემბერში დაზიანებულ ღუმელიდან რაღაც გაზი შემოიჭრა და ჯორჯი გრძნობდაკარგული დაეცა ძირს. მორიგე ინჟინერმა ბრძანა, ცეცხლფარეშისათვის წყალი დაესხათ და გამოეფხიზლებინათ. ნახევარი საათის შემდეგ კვლავ დაეცა და სისხლის ფურთხება დაიწყო.

ექიმებმა იგი სიკვდილს გამოჰგლიჯეს. საავადმყოფოში გაატარა ნახევარი წელი. მერე დებს დააწვა სარჩენად. არავის არ უნდოდა სამუშაო მიეცა ჭლექიანი ადამიანისათვის. დახმარებაზედაც უარი უთხრეს. სასამართლომაც ვერ უშველა საქმეს, — პენსია არ დაუნიშნეს. აი, სწორედ მაშინ, ავადმყოფობისა და ადამიანებისაგან გაბოროტებულმა, გადაწყვიტა შური ეძია — გადაეხადა სამაგიერო.

რვა წელი ფიქრობდა, რა მოემოქმედებინა. ბოლოს გადაწყვიტა — ბომბი გაეკეთებინა.

მარტინი ცდებოდა, როდესაც ფიქრობდა, 1941-45

წლებში „ბომბისტი“ ალბათ ჯარში გაიწვიესო. მეტელსკი ომში არ ყოფილა. მან, უბრალოდ, გადაწყვიტა, რომ ომის პერიოდი შურისძიებისათვის ვერ იყო კარგი დრო, ადამიანებს ისედაც ყოფნიდათ სასჯელი. მან იცოდა, რა იყო ფაშიზმი და არ უნდოდა ადამიანებისათვის ხელი შეეშალა მის დამხობაში.

კვირაობით იგი ეკლესიაში დადიოდა და ლოცულობდა მასზე, ვინც მისი ბომბებით იყო დაზარალებული. იგი დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან დაიჭერდნენ. ერთადერთი, რაც მას სურდა, ეს იყო: ადამიანებს გაეგოთ, რომ იგი სამაგიეროს უზღავდა მათ.

მოხუცმა თბრობა დაამთავრა. რეპორტიორებმა დააუარეს კითხვები:

- ვისკის თუ სვამდით?
- რა ნომერ ფენსაცმელს იცვამთ?
- გიყვარდათ თუ არა ვინმე?

ლეიტენანტ მარტინს გულზე რაღაც ნაღველი მოაწვა, ვერ კი გაეგო — რისგან. ასე არასოდეს მოსვლია. „ვბერდები, ეს ოხერი, ვბერდები“, — გაიფიქრა სინანულით. ადგა; პოლიციელებს ანიშნა, — გაყარეთ რეპორტიორებიო. მერე მოხუცს მხარზე ხელი დაადო და თითქმის მოფერებით უთხრა:

— წავიდეთ, ჯორჯ, დროა, ჩემო ძმაო...

ასე გაიარეს დერეფანი. ერთი სიმაღლისანი იყვნენ, ორივე გათეთრებული, ორივე სამოქალაქო ტანსაცმელში. პოლიცია უკან მიჰყვებოდათ. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ორივე დაპატიმრებული მიჰყავდათ, თითქოს ორივეს ერთი დანაშაული ჰქონოდა ჩადენილი.

3. ბორისოვი

გზის ღონე

ადგილმდებარეობის სიმაღლეს, ჩვეულებრივ, ზღვის დონიდან ზომავენ. რომ იტყვიან, მაგალითად, იალბუზი 5.595 მეტრი სიმაღლისააო, გულისხმობენ მის სიმაღლეს ზღვის დონიდან. მაგრამ ზღვები მუდამ ერთ დონეზე როდი არიან.

ოკეანეები და ზღვები „დახრილი“ ყოფილან. მაგალითად, ბალტიის ზღვის ცენტრსა და ოკლენდის კუნძულებს შორის ზღვის დონე 30 სანტიმეტრით განსხვავებულია. ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროზე წყლის დონე ნახევარი მეტრით მეტია, ვიდრე ატლანტის ოკეანის სანაპიროს იმავე განედისა. თავის მხრივ ატლანტიის ოკეანეს ჩრდილოეთით რომ ავყვით, წყლის დონე თითქმის 35 სანტიმეტრით იმატებს. პანამის არხის გასასვლელებში (არხის სიგრძე 80 კილომეტრია) წყლის დონე 20 სანტიმეტრით განსხვავებულია.

რატომ ხდება ეს? ამას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ მთავარი მიზეზი ტემპერატურისა და ქარის ცვალებადობაა (4.000 მეტრი სიღრმის ოკეანე, მაგალითად, ერთი გრადუსით რომ გათბეს, წყლის დონე 30 სანტიმეტრით აიწევს).

გლვები

მიწისქვეშაა

მსოფლიო ოკეანეს 361 მილიონი კვადრატული კილომეტრი უჭირავს. წყლის მოცულობა ათჯერ აღემატება წყლით დაუფარავ ხმელეთის მოცულობას. მაგრამ ხომ არ გგონიათ, დედამიწაზე ამის მეტი წყალი არ იყოს?

ავსტრალიაში 3.000 მეტრი სიღრმის ჭაბურღილი გაჭრეს და გვაღვითა და

ქარებით გამოფიტული მატერიკის ქვეშ უზარმაზარი ზღვა აღმოაჩინეს.

ჩინეთის რამდენიმე პროვინცია, თურმე, სულ ზღვაზეა „გაშენებული“. ამ ზღვას არალის ტბაზე სუთჯერ მეტი ფართობი უჭირავს.

ბაიკალში მთელი მსოფლიოს მტკნარი ტბების მეათედი წყალია. თუ რამდენია ეს, ამ შედარებით წარმოვიდგინოთ: მსოფლიოს ყველა მდინარე ბაიკალიდან რომ გამოვიდეს, ისინი მხოლოდ 230 დღეში დაცლიდნენ მას, ხოლო მარტო ანგა-

ში (მარტო ვოლგა ხომ იმდენ მიწას რწყავს!).

კასპიის ზღვა წლის მანძილზე იღებს 402 კილომეტრ წყალს, ამავე ხნის მანძილზე კი აორთქლებს 414 კილომეტრს.

ამრიგად, კასპიის ზღვას მზე „სვამს“.

მაგრამ მალე განხორციელდება გრანდიოზული პროექტი, რომელიც ჩრდილოეთის რამდენიმე მდინარეს კასპიის ზღვისაკენ აქნევენებს პირს. ასე რომ, ზღვას დაშრობა აღარ ემუქრება.

სკლ ბაქრა?

150 წლიან წინათ მდინარე ყუბანი ზღვა ზღვას ერთვოდა. ალბათ ახლაც იქით იდინებდა იგი, რომ 1819 წელს კაზაკებს ტერიტორიისა და ტერმინების მლაშე ტბების გამტკნარება არ განუზრახათ. ადგნენ და საერთო ძალით მდინარე ყუბანსა და ახტანიზის ლიმანებს შორის არხი გაიყვანეს. ახალი კალაპოტი ისე „მოეწონა“ შმაგ მდინარეს, რომ იხუვლა, მიაწყდა ნაპირებს, წალეკა ყველაფერი და აზოვის ზღვისკენ ჰქნა პირი.

ძველი კალაპოტი კი დროთა განმავლობაში გაშრა, ბალახ-ბუღასით დაიფარა.

ასეთი რამ რომ არ განმეორდეს, ინჟინრები დაწერილებით სწავლობენ მდინარეთა ხასიათს, შედაპირის თავისებურებას და მხოლოდ ამის შემდეგ თხრიან ხოლმე არხებს.

ს. სულაბა



ესეხ უენი ბაიკალი!

რომელია ყველაზე დიდი მტკნარი ტბა მსოფლიოში, რომ იკითხონ, — პასუხი ერთი იქნება, — ბაიკალი.

მაგრამ რამოდენაა მაინც იგი?

გამონაგარიშებულია, რომ ერთი წვეთი წყალი, რომელიც ამ ტბაში მოხვდება, მხოლოდ 400 წლის შემდეგ შეიძლება გააყვეს მდინარეს, ე. ი. გავიდეს ტბიდან. ოთხი საუკუნე იტრიალებს იგი წყლის უზარმაზარ მასაში, ვიდრე, ბოლოს, მქუხარე ანგარა ზღვისკენ არ გაიტაცებს მას.

რა ბაიკალს 4.000 წლის მანძილზე ვერ დააშრობდა.

რა „სვამს“ გლვას?

ორასი წლის წინ, კასპიის ზღვის სანაპიროზე იყო ქალაქი გურიევი. ახლა ეს ქალაქი ზღვიდან 35 კილომეტრით არის დაცილებული.

ზღვამ უკან დაიხია.

რა „სვამს“ კასპიის ზღვას?

უკანასკნელი ასი წლის მანძილზე კასპიის ზღვის მიდამოებში ჰაერი საგრძობლად გათბა, მის აუზში ძველებურად აღარ მოდის წვიმა, მდინარეებსაც ნაკლები წყალი შეაქვთ ზღვა-

ხეხეკი

ლილოზი



ს აღამო ახლოვდებოდა, როცა ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას თბილისის ოქტომბრის სახელმწიფოს რაიონის პიონერთა დელეგაცია ესტუმრა. მეურნეობის დირექტორმა პავლე აღიქსანდრეს ძე ორჯონიკიძემ სიხარულით მიიღო წითელყელსახვევიანები.

პიონერები მეურნეობის ტერიტორიაზე ბანაკის გახსნას სთხოვდნენ.

— სიამოვნებით, ჩემო პატარა მეგობრებო, სიამოვნებით. ოღონდ მითხარით, როდისთვის აპირებთ ჩამოსვლას, რომ ყველაფერი შუად დაგახვედროთ, — სთქვა მეურნეობის დირექტორმა.

— ძია პავლე, ჩვენი სურვილია, ბანაკი საკუთარი ძალებით მოვაწყუთ და მეურნეობის მუშებს ვენახის მოვლა-პატრონობაში დავეხმაროთ. — ერთხმად მიუგეს პიონერებმა.

— ბიჭოს! თქვენ, როგორც გეტყობათ, არ ზღმრობთ, — გაიოცა ძია პავლემ. — კეთილი, ასეთი კარგი საქმისათვის არც მეურნეობა დაგრჩებათ ვალში და ყველა თქვენგანი, ბანაკის დაზურვის დღეს, დამსახურების მიხედვით, საჩუქარს მიიღებს.

ორი დღის შემდეგ, ლილოს ას ოცი პიონერი (ერწვა. გოგო-ბიჭებმა) მკლავები დაიკაპიწყეს და ბანაკის მოწყობას შეუდგნენ. აღმართეს ანძა, გაავლეს პიონერული ბაზი, შეაკეთეს და წესრიგში მოიყვანეს ფეხბურთისა და ფრენბურთის





საბჭოში დახმარების ხელი გაუწოდა. ისინი საშემოდგომო გამოცდაგამოყოლილ პიონერებს ამეცადინებენ და გვჩვენებენ, რომ ჩვენი რაზმეულის ყველა პიონერი გადაჭვე მობღვენოკლასში.

— ჩვენი ბანაკი ინტერნაციონალურია — ჩაერია ლაპარაკში მე-4 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე თინა წიკლაური. — რაზმეულში, თბილისში მცხოვრებ თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელს შეხვდებით.

და მართლაც, ბანაკის გახსნის დღეს გამართულ კონცერტზე, სხვადასხვა ეროვნების ნორჩი დეკლამატორები და შემსრულებლები ერთმანეთს ეცილებოდნენ ოსტატობაში. აბა ვის არ მოეწონებოდა პირველი რაზმელების მიერ შესრულებული რუსული სიმღერა „სურთ თუ არა რუსებს ომი?“ ან თამაზ ფეხვიანიძის „მე თბილისელი ბიჭი ვარ“, ან კიდევ ჯულიეტა აკოფიანის მიერ არაბულ ენაზე შესრულებული სიმღერა „შალაბია“ და სხვა მრავალი.

კომკავშირის რაიკომმა პიონერების თხოვნა დააკმაყოფილა და ბანაკს სერგო ორჯონიკიძის სახელი მიანიჭა. იმავე საღამოს ვეებერთელა პიონერული კოცონი აგზგოდა ლილოში. პიონერებმა საპატიო სტუმრად აირჩიეს პავლე ორჯონიკიძე და ზთხოვეს მას თავისი სახელოვანი ბიძის შესახებ ეამბნა.

ძია პავლემ კოცონთან ჩამუხლა და პიონერთა თვალწინ, გამოჩინილი რევოლუციონერის—სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სურათები გადამოშალა.

თ. რუხაძე
ფოტო ავტორისა.

მოედნები... ბოლოს, მეურნეობის აგრონომს აბესალომ ჩიქოვანს ჰხოვეს, — ვენახში წაგვიყვანეთო.

— ერიბა, ეს ვენახი სარეველას დაუჩაგრავს! — იხუვლეს პიონერებმა და მუხლამდე ამოსულ ბალახს ხელით გლეჯა დაუწყეს.

— დაიცავთ, დაიცავთ! — შეაჩერა აგრონომმა პიონერები. — სარეველა მართლაც მტრობს ვენახს, მხარამ მის წინააღმდეგ განა ასე იბრძვიან? აბა გახედეთ ვაზის მწკრივებს; ხედავთ, ყლორტები რა უმწეოდ ყრია მიწაზე, პოდა, უწინარეს ყოვლისა, ისინი უნდა აიკრიფოს, მავთულზე დამაგრდეს, ამის შემდეგ კი მწკრივებს შორის ტრაქტორი გაატარებს გუთანს და სარეველას დედა-ბუდიანად ამოძირკვავს.

თანდათან დაზრდილი ყლორტები კიდევ ორჯერ ხდება მავთულზე ასაკრავი და, ბოლოს, როცა მტევანი შემწიფდება, ერთხელ კიდევ უნდა შველა ვაზს. გამოცდილი მევენახეები სასხლავი მაკრატლებით მწკრივებს შორის ჩივილიან და ზედმეტ ტოტებს შეაქრიან. ამ სამუშაოს „ცის გახსნა“ ჰქვია, მთელ ამ პროცესს კი „მწვანე ოპერაციებს“ უწოდებენ.

ბევრი რამ გაიგეს და შეისწავლეს იმ დღეს პიონერებმა ვაზის შესახებ და ნაყოფიერდაც იმუშავეს.

ბანაკის ყოველდღიურ ცხოვრებაზე გატაცებით ლაპარაკობდა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე საშა შეშკოვი. — რაზმეულში გვყავს აკადემიურად ჩამორჩენილი პიონერები, ისეთებიც კი, რომელთაც საშემოდგომო გამოცდები გამოჰყვათ. ასეთ მოსწავლეებს ბანაკის „უფროს მეგობართა



ერმანე ნიჭიერსკი

ნახატები ბ. პალასი



მარეკ პეპუსის

პრაჩვეულებრივი

თავგადასავალი

— რა ბავშვივით იქცევით, — თქვა პან ცედურმა. — მოთმინება უნდა იქონიოთ.

— არა... არა.. შეუძლებელია... გვევდრებით, ხელით მოსინჯეთ მესერი, — ოხრავდა ალექი. — არ შეიძლება აქ სადმე გასასვლელი არ იყოს.

უკანასკნელი ორი ასანთის ანთებული ღერით პან ცედურმა ტუჩების კვანძით შემოუარა მესერს.

გასასვლელი არსად არ იყო. ისინი იმყოფებოდნენ ოცი ნაბიჯის სიგრძისა და სამი ნაბიჯის სიგანის რკინის კორიდორში. ეს კორიდორი ორივე მხრიდან დაკეტილი იყო დაწნული რკინის კარით. პან ცედურის ყოველგვარი ცდა — გაეღო მაგრად დაკეტილი კარი — ამაო გამოდგა, — დაღვრემილი დაბრუნდა უკან. ალექი იჯდა და ნატყენ თავზე ხელს ისვამდა.

— ნახეთ რამე?
— გასასვლელი არ არის.
— რა უნდა ვქნათ?

— არაფერი, ზოოლოგიურ პარკში მოგვიხდება ღამის გათევა, — ამ რკინის გალიაში. ეს არის და ეს. დილით მოვლენ მომვლენები და გამოგვიშვებენ.

— დილით? ხომ არ ხუმრობთ? ნუთუ მთელი ღამე აქ უნდა გავატაროთ?

— სხვა გამოსავალი არა გვაქვს. ახლა აქ არავინ არ არის. როგორმე უნდა გავძლოთ. არაფერია საშიში, ოღონდ წვიმა ნუ წამოვა, ცა მოიგრაგნა და, გესმით? — ისევ გრგვინვის ხმაა, ალბათ ჭექა-ქუხილისაა.

საიდანაც ყრუდ ისმოდა გრგვინვის ხმა. ალექმა ნერვიულად გაიციხა.

— ალექ, არ გინდა... — ამშვიდებდა პან ცედური.

— ქუხილია... ქუხილი... — ხარხარებდა ალექი. უეცრად შეწყვიტა ხარხარი.

— ეს სრულიადაც არ არის ქუხილი. ნუთუ კიდევ ვერაფერი გაიგეთ? ღომები ღრიალებენ. დიახ, ღომები ღრიალებენ და გრგვინავენ. ეტყობა, სადღაც მეზობლად არიან. ძალიან ახლოს... გესმით?

პან ცედურმა მიაყურა და... ალექი მართალი იყო.
ღომები ღრიალებდნენ.

სიკვდილის გალია. როცა ღომები მაღაზე მოდიან. ქარი იცვლის მიმართულებას. პან ცედურის ზმირული შეტევა, ანუ კულპერიზატორი მოკმედეგაში. უოველთვის ატარეთ თან საბუალეატო წყალი „ზვიდი საპვირველება“ — არბელ „მოწინავის“ ნაწარმი. ბივიბი სარკაევიტ ხელში.

ჩვენი მეგობრები არ შემცდარან; შუალამისას ამოვარდა ძლიერი ქარი, დაუშვა ცივმა, კოკისპირულმა წვიმამ. გალიებიდან ისმოდა ნადირთა ხმა: ტურები ჩხაოდნენ,

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1—7.

ლომები ღრიალებდნენ, სადღაც ბოროტად ხარხარებდა აფთარი, ჟივკივებდნენ ფრინველები.

— ძვალსა და რბილში გაგვატანს სიცივე და ეს წვიმა, — თქვა პან ცედურმა.

— სიცივემ ახლავ ამიტანა, გათენებისას რაღა მომივა! — გამოეხმაურა ზრინწიანი ხმით ალექი. — აქ დარჩენა შეუძლებელია, განგაში უნდა ავტებოთ, ბოლოს და ბოლოს ვინმე გამოგვეხმაურება.

პასუხისათვის აღარ დაუცდია, ისე დაიდრიალა სასოწარკვეთილმა ალექმა:

— გვიშველეთ! მოგვეხმარეთ! გვიშველეთ! გაჩუმდა და მიაყურა... მხოლოდ წვიმის ხმაური და ნადირთა ღრიალი ისმოდა... შემდეგ პან ცედურმა შეამოწმა თავისი ხორხის ძალა, მაგრამ — ასევე უშედეგოდ. მცირედი შესვენებებით, მთელი ორი საათი ყვიროდნენ; ამ ხნის განმავლობაში მთლად გაილუმპნენ, სიცივემ ძვალსა და რბილში გაატანა. საბოლოოდ, მეგობრებს ხმა ჩაეხლიჩათ და ძალაც მთლად გამოეღიათ. განთავისუფლების არავითარი იმედი აღარა ჰქონდათ. აფორიაქებულ ნადირთა ღრიალი ფარავდა მათ სასოწარკვეთილ ძახილს.

— მაძებრად არ ვარგებულხარ! — ამოიოხრა პან ცედურმა.

— ასევე ითქმის თქვენზე, — წაილულულა ალექმა. — არასოდეს არ მივისწრაფვოდი მაძებრის კარიერისაკენ. მე ხელოვანი ვარ, — ამაყად წარმოთქვა პან ცედურმა, მაგრამ ეს სიტყვები საცოდავად გაისმა.

— თქვენ არ იყავით, ტაქსში ძალით რომ ჩამსვით?

— თქვენი სპორტული მონაცემების იმედი მქონდა, bambino mio!

— ნუ ცრუობთ, გეთყუვა... უკეთესი იქნება ერთხელ კიდევ დაყვიროთ, თქვენ ჩემსავით არ ჩაგზრინწვიათ ხმა.

— არ ჩამზრინწვია? — აღმოფთდა პან ცედური და აღმოხდა სასოწარკვეთილი ხადილი, რომელიც ნახევრადდაკლულ მამლის ყლოჭინსა ჰგავდა. — არა, ერთადერთი რამ, რაც ახლა ძალმიძს, — ფლეიტაზე დაკვრავა.

უბიდან ფლეიტა ამოიღო და — სათუთი, მწუნარე ჰანგები მოჰფინა არე-მარეს.

* * *

დილამ ჩვენს გმირებს ნახევრადუფრონო მდგომარეობაში მოუსწრო. მთლად გათოშილნი, ძალგამოლეულნი ებლაუჭებოდნენ ისინი რკინის მესერს. ყურები უზუოდათ, თვალწინ შავი და თეთრი წრეები ერეოდათ ერთმანეთში. ვერც კი შენიშნეს, როგორ გააღო გალიის კარი ბრეზენტის კომბინიზონიანმა მოსამსახურემ. მოახლოებულ ნადირთა საშინელმა ღრიალმა ძლივს გამოარკვია გაოგნებულნი. თავი აიღეს და დაინახეს: რკინის გალიაზე მოდგმულ კორიდორში ლომები მოძუნძულდნენ. უბედური ტყვეები რკინის მესერს ჩააფრინდნენ და ჩახლუჩილი ხმით ცდილობდნენ დაეძახათ. — გვიშველეთო. მაგრამ პირიდან მხოლოდ ოდნავ გასაგონი გმინვა ამოსდიოდათ. ვიდრე ზოოპარკის მუშაკები მიხვდებოდნენ, რაში იყო საქმე, ლომები გალიაში შემოცვივდნენ და უბედურებს გზა გადაუღობეს. მაშინვე გააღეს კარი მოპირდაპირე მხარეზე, მაგრამ, ვიდრე ძალგამოლეული ტყვეები ფეხზე წამოდგებოდნენ, ლომები მათკენ გაემართნენ.

გავიდა ხუთი წამი, — ხუთი წამი საშინელი დაძაბულობისა. ზოოპარკის მუშაკები ერთ ადგილზე გაშემდნენ, — გალიაში მყოფთა გადარჩენის იმედი არავის არა ჰქონდა. საბედნიეროდ, ლომები ახალი ნასაუზმევი იყვნენ: ისინი ვულგრილად გადაახტნენ პან ცედურსა და ალექს და ვოლიერისკენ გასწიეს. საშიშროებამ თითქმის გაიარა, მაგრამ სწორედ ამ დროს ბებერმა ლომმა მამბომ ადამიანის სუნი აიღო და უეცრად შეჩერდა ზედვოლიერში გასასვლელ კართან, თითქოს იმაზე დაფიქრდა, როგორც უნდა მოვიქცე ასეთი მოულოდნელი მასპინძლობისასო.

ლომმა ერთი ხმადაბლა დაიდრიალა და ფაფარი დაიფერთხა. მის დაძახებაზე ძუ ლომი ბრივიდა, რომელიც უკვე გალიის მეორე კარში გასულიყო, უკან დაბრუნდა.

— ღმერთო დიდებულო... ახლა კი შეგვჭამენ, — ამოიოხრა ალექმა.

— თავი მოვიმკვდარუნოთ, ვითომ მკვდრები ვართ, — ბრძანა პან ცედურმა და მიწაზე გაიშხლართა. გაახსენდა, რომ სადღაც წაკითხული ჰქონდა, დათვის დანახვისას როგორ გაწვა მიწაზე რომელიღაც მოგზაური და თავი მოიმკვდარუნა, დათვმა კი დაყნოსა იგი და წყნარად განაგრძო გზა.

მეგობრებმა სუნთქვა შეიკრეს. პან ცედური წამებს ითვლიდა და თან მწუნარედ ფიქრობდა, როგორი არაესთეტიური შესახედაობა ექნებოდა ამ წუთს მას — მიწაზე ბაყაყივით გაჩაჩხულს და ლაფში ამოსვრილს, მას — ვარშავის ყველაზე ელეგანტურ მუსიკოსს. სული მწარე სევდისაგან დაუძძიმდა. ყოველთვის ეგონა, რომ იგი მოკვდებოდა ოპერის აკაშაშებულ, ყვავილებით მოფენილ სცენაზე, მოკვდებოდა მაყურებელთა აღფრთოვანებული შეძახილებით გაბრუებულთა, მოკვდებოდა შმაგი როლანდის როლის შესრულების დროს.

უეცრად შენიშნა, რომ ალექმა ჯიბის დანა გახსნა.

— რას ხედავთ? — წაიჩურჩულა მან.

— ტარზანივით უნდა დავიცვა თავი, — უპასუხა სპორტსმენმა, — უნდა ვიბრძოლო მეფის მალემსრბოლივით, რომელმაც დათვი დაკლა, — ძვირად დაუხსვამ ჩემს სიცოცხლეს.

— თქვენს სიცოცხლეს, და თუ საჭირო იქნება, ჩემს სიცოცხლესაც, არა?!. გმადლობთ კეთილი ზრახვებისათვის, მაგრამ მე სულაც არა მსურს ჩემი სიცოცხლე სასწორზე შევაგდო. გვედარები, შეინახე ეგ ჯიბის დანა...

* * *

ცნობამ იმის შესახებ, რომ ზოოლოგიური პარკის რკინის გალიაში ლომებთან ერთად აღმოჩნდა ორი ახალგაზრდა, ელვის სისწრაფით მოიბრძინა მთელი ქალაქი, და აღელვებული უქნარების მთელი ხროვა მოაწყდა ზოოპარკს სეირის საყურებლად, სეირისა, რომლის ყურებისას ადამიანს სისხლი ეყინება ძარღვებში.

ახლომახლო სკოლებში მოსწავლეებმა გაკვეთილები მიატოვეს და აქეთკენ გამოიქცნენ. შლენსკის ხიდის მხრიდან ექსკურსანტთა ორი ჯგუფი მობრბოდა: ესენი იყვნენ ბილგორელი გლეხები და ახალი სონჩელი მოსამსახურენი. მოვიდნენ ცეცხლმჭკობი ტუმბოებითა და რეზინის მილებით შეიარაღებული მებანძრეები. მათ ზოოპარკის დირექტორმა გადაჭრით აუკრძალა ნადირთა

გაუწევა, რადგან ეშინოდა, — წყალი უფრო გაამძინევა-
რებს ისედაც გაშმაგებულ ნადირსო. ბოლოს გამოჩ-
ნდა მილიციაც.

მხოლოდ მარეკის შშობლებმა არ იცოდნენ არაფერი-
მრავალი უძილო ღამით გაწამებულებმა, დილით მაგრად
ჩაიძინეს. დიდხანს ეძინათ და ეს იყო მათი ბედნიერება.
მათ რომ ჩვეულებრივად ჩაერთოთ რადიო, გაიგონებ-
დნენ ასეთ შემზარავ ცნობას:

ყურადღება! ყურადღება! დღეს ზოგობარკში ტრაგიკული ამბავი
მოსდა. დილის 6 საათზე, როცა ლომები გალიებიდან გამოჰყავდათ,
კორიდორში, ვოლიერსა და გალიას შორის, აღმოჩენილ იქნა ორი
ადამიანი — ნახევრადუგონო მდგომარეობაში.

ლომები ახალი ნასაუზმევი იყვნენ. მხოლოდ ამით შეიძლება აიხ-
ნას ის ფაქტი, რომ უბედური მსხვერპლნი მაშინვე არ იქნენ გა-
დასანსლულნი, მაგრამ ლომებმა უარი თქვეს ვოლიერში გასვლაზე,
დაუწყვედნენ და... თვალს არ აშორებენ თავიანთ მსხვერპლს. საში-
შრობა იმაში მდგომარეობს, რომ მხეცებს როგორც კი მოუვიდე-
ბათ, მაშინვე ეცემიან უბედურებს. ყველა ცდა — როგორმე გამო-
ეტყუებინათ კორიდორიდან ლომები — ამაო აღმოჩნდა. შემთხვე-
ვის ადგილზე გამოძახებულმა მილიციამ წინადადება წამოაყენა —
დაუყოვნებლივ დაეშინათ ტყვიები ნადირთათვის, მაგრამ ეს წინა-
დადება უარყოფილ იქნა სპეციალისტ-ზოოლოგების მიერ; ისინი
ამტკიცებენ, რომ დაჭრილი ლომები სიკვდილთან ჰიდილის დროს,
თვალის დახამხამებაში დაგლეჯენ გალიაში მყოფ ადამიანებს. მილი-
ციამ მიიღო ბრძანება, — ცეცხლი გახსნას მხოლოდ უკიდურესი
საჭიროების დროს, ე. ი. მაშინ, როდესაც ლომები იერიშზე გადა-
ვლენ.

ყურადღება! ყურადღება! სასწრაფოდ საჭიროა გამოცდილი
მწვრთნელი, რომელსაც შეუძლია ლომების დაშოშმინება, გალიი-
დან გაყვანა და ადამიანების გადაარჩენა.

ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა ! ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა ! ს ა ჭ ი რ ო ა
მ წ ვ რ თ ნ ე ლ ი .

დილის 8 საათი გახდა, მდგომარეობა კი არ შეცვლილა.
გალიის შუაში გაშლართული ეყარნენ ალექი და პან
ცედური, გასასვლელ კარებთან კი ორივე მხარეს დაყუნ-
ცული ლომები თათებს ილოკავდნენ და პირს იბანდნენ.
ჯერჯერობით გამაძლარნი იყვნენ და წყნარად შედგომოდნენ დილის ტუა-
ლეტს.

- როგორ ფიქრობთ, — წაიხურ-
ჩულა ალექმა, — რატომ არ გვჭამენ?
- ალბათ რწყილების გამო, — ამო-
იოხრა პან ცედურმა
- რა შუაშია რწყილები?
- ამჟამად ჩვენი კატუნიები რწყი-
ლებთან ომობენ, შემდეგ კი ადამიანე-
ბით გაერთობიან. ან იქნებ...
- რა, — რა იქნებ?
- იქნებ ქარის გამოა.
- ქარის გამო?
- ახლა ქარი დასავლეთიდან აღმო-

სავლეთისაკენ ქრის, ლომები კი სხედან
ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით.
ეტყობა, ჩვენს სუნს ვერა გრძნობენ.
ჩვენი სუნი, ასე ვთქვათ, არ აღიზიანებს
მათი ყნოსვის ორგანოებს.

- მაგრამ... ქარმა რომ მიმართულება შეიცვალოს?
- მაშინ ჩვენი კატუნიები აღელდებიან.
- მგონი, ქარი მიმართულებას იცვლის, — წაილულ-
ლულა უეცრად ალექმა.

მართლაც, პან ცედურმა იგრძნო, რომ თუ ქარი აქამ-
დე შუბლში უბერავდა, ახლა ყურში დაუწყო ბერვა.
ძუ ლომმა ბრიგიდამ უეცრად შეწყვიტა ფხანა. დრუ-
ნჩი გაიშვირა და ჰაერს ყნოსვა დაუწყო. ადამიანის სუ-
ნი ნესტოებში უღიტინებდა.

და მაშინ მოხდა ის, რისიც ყველას ეშინოდა. ძუ ლომ-
მა საშინლად დაიღრიალა და ზანტად წამოდგა.

— ჩვენსკენ მოდის, — ამოიოხრა ალექმა.
მეგობრის მიზანძვით, ხვადი ლომი მამბოც წამოდგა.
საბედისწერო ბრდღვინვამ დაარღვია დუმილი. საშინე-
ლების მოლოდინში ხალხი გაიტრუნა.

— ჩვენსკენ მოდის, — წაიხურჩულა ალექმა და ჯიბის
დანა უფრო მაგრად ჩაბლუჯა, — სუნი აიღეს... ახლა კი
ყველაფერი გათავდა...

— სუნი აიღეს, — გაიმეორა პან ცედურმა და უეცრად
სახე შეეცვალა, მუხლებზე წამოიჩოქა და ჯიბეებში ხე-
ლის ფათური დაიწყო.

— რას აკეთებთ? — წაიდუღუნა ალექმა. — ნუ მო-
ძრაობთ! დაწეკით!

მაგრამ პან ცედური არავითარ ყურადღებას არ აქცე-
ვდა ალექს. „სუნი აიღეს, სუნი აიღეს“. — იმეორებდა
გაფითრებული ტუჩებით. მერე ჯიბიდან იძრო სატუა-
ლეტო წყლის პატარა პულვერიზატორი, რომელსაც
ყოველთვის თან ატარებდა. გაოცებისაგან ყველა გაშ-
რა. პან ცედური კი აკანკალებული ხელებით რეზინის
„მსხალს“ უჭერდა და უშვებდა, უჭერდა და უშვებდა.
სხვადასხვა მხარეს ასხურებდა არტელ „მოწინავის“ მი-
ერ გამომშვებულ სატუალეტო წყალს.

- ბრბოს ყრუანტელმა დაუარა.
- გიჟია! — წამოიყვირეს აქეთ-იქიდან.
- შიშისაგან გაგიჟდა!
- ვირთხასავით მთლად გაუწეული პან ცედური მამა-





ქალაქია — წი-
თელი თავსაფარი,
თხელი აბრეშუმის თავ-
საფარი ქალისა.

ქალაქანი — თუშური ქულის
(ნაბდის ქულის) შემოკეცილი ნაწი-
ლი.

ალაოში — (ალაუში) მოგრებილი წკნელის ან
მსხვილი მავთულის რგოლი, რომელშიც თავით ან
ბოლოთი ჩააწყობენ ტყეში მოჭრილ შემას და მა-
გრა გასტყდენ, რომ თრევა გაადვილდეს და თა-
ნაც არ დაიშალოს.

ცურად ვანავრობდა თავის საქმეს. თავი ისე ეჭირა, თით-
ქოს პულვერიზატორის ნაცვლად ავტომატი ჰქონოდა.
და ამ დროს მოხდა სასწაული.
ლომები შეწუნდნენ, მრისხანედ დაიღრიალეს და ზი-
ზლით უკან დაიხიეს.
ათასი გულიდან ერთხმად ამოიჭრა აღფრთოვანებული
შეძახილი: „ბრაგო!“
— კიდევ რამდენ ხანს გეყოფათ? — წასჩურჩულა აღე-
ლებულმა ალეკმა.
— უკანასკნელი წვეთებიდაა, — უპასუხა მუსიკოსმა.
ხმამალა მოლაპარაკე რუპროდუქტორები ერთის წუ-
თითაც არ ჩერდებოდნენ:

უ უ რ ა დ ლ ე ბ ა ! უ უ რ ა დ ლ ე ბ ა !
მოიხმინეთ უკანასკნელი ცნობები
უკანასკნელი ცნობები ზოოპარკიდან. ლომები გადავიდნენ იერი-
შე.

უ უ რ ა დ ლ ე ბ ა ! უ უ რ ა დ ლ ე ბ ა !
მოხდა სასწაული! იერიში მოგერიებულ იქნა იერიში მოგერიე-
ბულ იქნა გალიაში გამომწყვდეულ მამაცთა მიერ.

უ უ რ ა დ ლ ე ბ ა ! უ უ რ ა დ ლ ე ბ ა !
მიღებული ცნობების მიხედვით, მამაცი, რომელმაც მოიგერია შე-
ტევა, აღმოჩნდა ცეზარ ცედური, ცნობილი მუსიკოსი, ყველაზე
ელეგანტური მამაკაცი ვარშავაში. უურადლება, უურადლება ისმი-
ნეთ ყველამ ისმინეთ ყველამ! შეტევა მოგერიებულ იქნა პულვე-
რიზატორის საშუალებით, რომელშიც ესხა სატულეტო წყალი, გა-
მოშვებული არტელ „მოწინავის“ მიერ. ყოველთვის ატარეთ თან
სატულეტო წყალი „შვიდი საოცრება“. არტელ „მოწინავის“ გა-
მოშვება.

უ უ რ ა დ ლ ე ბ ა ! უ უ რ ა დ ლ ე ბ ა !
უკანასკნელი ცნობები ზოოპარკიდან. უკანასკნელი ცნობები ზო-
ოპარკიდან. პან ცედურის პულვერიზატორში არტელ „მოწინავის“

მიერ გამოშვებული სატულეტო წყალი ამოწურავთ. გამოსხ-
რების ძალა საგრძობლად შემცირდა.
**ვაქცაბთ მხატვების მომთვინიერებელს! ვაქ-
ცაბთ მხატვების მომთვინიერებელს!**
უ უ რ ა დ ლ ე ბ ა ! უ უ რ ა დ ლ ე ბ ა !
ეს-ეს არის მივიღეთ ახალი ცნობა: პან ცედურის პულვერიზა-
ტორმა შეწყვიტა მოქმედება.

გალიის გარშემო შეკრებილ ბრბოში ატყდა პანიკა. ქა-
ლები ვერ უძლებდნენ საშინელ დაძაბულობას და გული
მისდიოდათ. მამაკაცები ცრემლებს იწმენდნენ. მილიცი-
ელები უკანასკნელად ამოწმებდნენ თავიანთ იარაღს.
ლომები კი მრისხანედ ღრიალებდნენ და თან ორივე
მხრიდან მოიწვევდნენ მსხვერპლისაკენ.
უეცრად ყველამ შენიშნა, ბრბოში როგორ მიიკვლევ-
და გზას თხუთმეტი წლის ბიჭი, რომელსაც ხარცერის!
მოკლე შარვალი და შავი ხალათი ეცვა. ბიჭი მაღალი
იყო, ჩაფსკენილი, კუთხოვანი ნაკვთები ჰქონდა, თმები
ზღარბის ჯაგარივით ყალყზე ედგა, უფრო კი ჯაგარის
მოგაგონებდათ მისი მოკლედ შეჭრილი ქერა თმები. მას
უკან მიჰყვებოდა მისი ამხანაგი, — ჭოკივით ხმელი და
მაღალი.
— პირიდიონ, — მიმართა შეხალათიანმა ბიჭმა ამ-
ხანაგს, — მარცხნივ რომაა — შენია.
— არის, შეფო! — უპასუხა პირიდიონმა.
— ჩქარა, ღვთის გულსათვის, ჩქარა! — დაიყვირა.
შეხალათიანმა ბიჭმა.
ლომები სულ ახლოს მივიდნენ მსხვერპლთან.
— გაგვატარეთ, გაგვატარეთ!
ხალაი გაიწ-გამოიწია მხოლოდ ახლა შენიშნეს, რომ
ორივე ბიჭს დიდი, ბრტყელი, სწორკუთხა პაკეტი ეჭი-
რა.
გალიას რომ მიუახლოვდნენ, ბავშვებმა ქალაქი შე-
მოაცალეს დიდ სარკეებს და გამძვინვარებულ მხეცებს
დაანახეს.
— ახლავე მოშორდით გალიას! — დაიყვირა მილი-
ციელმა.
მაგრამ აქ მოხდა ისეთი რამ, რომ მილიციაც კი გაოცე-
ბისაგან გაშრა.
ლომები ერთ ადგილზე გაშეშდნენ, მერე უცნაურად
აღშველდნენ და ცნობისმოყვარეობით მიუახლოვდ-
ნენ რკინის მესერს. მაშინ ორივე ბიჭმა გადადგა ნაბიჯი
გალიდან გასასვლელისაკენ. და — ჰოი, საკვირველებაც!
— ლომები უკან გაჰყვნენ მათ. ბავშვები თან სარკეს
უჩვენებდნენ ლომებს, თან გასასვლელისაკენ მიიწვედ-
ნენ. ლომები, თითქოს ჰინოზი გაუკეთესო, ისე მიჰ-
ვებოდნენ სარკეებს.
ბოლოს და ბოლოს, ხარცერებმა ისინი გასასვლელში
გაიყვანეს.
— დაკეტეთ კარი! — დუქაზა გაოცებისაგან გამშრალ
მოსამსახურეებს შეხალათიანმა ბიჭმა. — სასწრაფოდ
დაკეტეთ კარი ორივე მხარეს!
მოსამსახურეები გალიას ეცნენ. თვალისდახამხამება-
ში დაკეტეს კარი ორივე მხარეს. გალიაში გამომწყვდე-
ულებს საშიშროება აღარ ემუქრებოდათ.
ბრბომ თავისუფლად ამოისუნთქა.
შემდეგ კი ატყდა ყიჟინა, — სიხარულის ხმამალა
შეძახილებით მისცვივდნენ ბავშვებს. ყველას უნდოდა
1 ხარცერები — პოლონელი პიონერები.

გულში ჩაეკრა გმირები, მთელი ერთი საათი არწევდნენ ბიჭებს ხელში და ჰაერში ისროდნენ.

თეოდორი.

მაკაბარ კვასის წერილი.

რა აღმოაჩინა ვადრაკის მხედარმა.

მათარა და კლიაცეაი.

ამგვარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ აურზაურის თავი და თავი — პან ცედური და ალეკი.

აბობოქრებული ბრბო გალიაში შეიჭრა. ახლა საშიში ის იყო, რომ ლომის ბრჭყალებს ძლივს გადარჩენილი ახალგაზრდები ადამიანთა ხელით არ დაღუპულიყვნენ. ყველას უნდოდა ახლოს ენახა, ხელით შეხებოდა, და საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ ეს ადამიანები ცოცხალი და უვნებელი გადარჩნენ.

ბოლოს და ბოლოს, საქმეში მილიცია ჩაერია. მილიციელებმა გალიის გასასვლელთან შეჩვენებული ბრბო ძლივს გაარღვიეს და გალიიდან ძლივს-ძლივობით გამოიყვანეს პან ცედური და ალეკი. ორივენი ისე დასუსტებულიყვნენ, რომ ხელკავის გარეშე ფეხზე ვერ დგებოდნენ. ჩვენი გმირები ის-ის იყო გონს მოეგნენ, რომ იშწამსვე მათთან გაჩნდა პორუჩიკი პროტი — სამდინარო მილიციის თანამშრომელი.

კარგად ახსოვდა რა პროტს ანდაზა: „სანამ თონე ცხელია, პური მანამ უნდა ჩააკრაო“, — შეკითხვები შეკითხვებზე დააყარა ჩვენს გმირებს, მაგრამ მისი მონდომება ამო აღმოჩნდა, რადგან არც ერთ მათგანს არაფერი არ გაეგებოდა. ალეკი ტარზანივით რალაც უცნაურ ბგერებს გამოსცემდა, პან ცედური კი, რომელიც მილიციის ორ კაპრალს ძლივს მიჰყავდა, სულ იმის ცდაში იყო, როგორმე ხელიდან გასხლტომოდა მათ და თავისი ფლეიტისათვის ჩაებრა.

— რას აკეთებთ? — ეკითხებოდნენ მას, იგი კი რალაცას დუღუნებდა უზაროდ.

— მძვინვარე ლომს თუ შეაჯექი, რკინის ღრაკონზეც ადვილად ამხედრდები. მოისმინე, შეილო ჩემო, სასწაულომოქმედი ფლეიტის ჰანგები. ოჰ, საუბედუროდ, შენ მუსიკალური არა ხარ...

— Christianus ad leones!¹ არა, არა! — შეშინებული ყვიროდა იგი. — Non sum christianus, orpheus sum.²

— ნერვიული აშლილობაა, — განმარტა ექიმმა, — შეიძლება, ციებ-ცხელებაც იყოს და ამიტომ ბოდავს.

უეცრად გაისმა ყურისწამლები კივილი.

შეშინებული ქალები წივილ-კივილით მიმოიფანტნენ, მათ ღრიალით უკან მისდევდა თმაბურძენული პან ცედური, რომელიც კაპრალს ხელიდან გაუსხლტა. მაგრამ მალე გამოელია ძალა და, როცა მილიციელები დაეწივნენ, მთლად ოფლში გახვითქული, მკლავებზე გადასვენა მათ.

ბევრ ხანს არ გაუვლია, ექიმისა და პორუჩიკ პროტის ენერგიული ცდით, ჩვენი გმირები ნელ-ნელა მოეგნენ გონს. პორუჩიკმა პროტმა კვლავ სცადა გამოერკვია, თუ როგორ მოხვდნენ პან ცედური და ალეკი რკინის გა-

ლიაში. მაგრამ არც ერთ მათგანს არ გამოუმკლავნებია სურვილი — პასუხი გაეცა მოცემულ კითხვებზე. ორივეს ერცხვინებოდა ელიარებინათ, როგორ მოხერხებულად გააბრიყვა ისინი ვენჩესლავ უჩინარმა. მოთმინებიდან გამოსული პორუჩიკი პროტი, ბოლოს და ბოლოს, დაემუქრა, რომ იძულებული იქნებოდა დაეპატიმრებინა ისინი; რკინის გალიის გაქურდვის მიზნით გატეხის გამო. მაშინ პან ცედურმა დაბნეულად წაილულლულა, რომ ისინი სამეცნიერო კვლევით იყვნენ დაინტერესებულნი, ალექმა კი დაუმატა, რომ ორივენი სწერენ სცენარს სენსაციური ფილმისათვის, რომელსაც სათაურად ექნება: „ამხედრება მძვინვარე ლომსა ზედა“.

— არა, bambino mio, — შეეკამათა პან ცედური, — სათაური სხვაგვარად უღერს: „მოთვინიერება მძვინვარე ლომისა“.

— მართალი ბრძანდებით, — დაეთანხმა ალეკი, — „მოთვინიერება მძვინვარე ლომისა“... დიახ, სწორედ ასე დაერქმევა ამ ფილმს...

პორუჩიკმა პროტმა გაოცებისაგან ღრანჭები გააქან-გამოქანა. უეცრად, სად იყო და სად არა, გაჩნდა ორი ბიჭი, რომელთაც ხელში სარკეები ეჭირათ. უფრო სწორად — სარკის ნამტვრევები. ისინი ზხანს მიიკვლევდნენ ხალხში, რომელიც მათ ესალმებოდა. ბიჭების დანახვაზე ჩვენს გმირებს ძალ-ღონე მოემატათ, ისინი მისცივდნენ ბავშვებს, გადაეხვივნენ და კოცნა დაუწყეს.

— არ გინდათ, არ გინდათ, თორემ ხალხს გული აუჩუყდება და ისევ დაგვიწყებენ ქანაობას, ჰაერში აგვისვრიან, — წინააღმდეგობას უწევდა ჯაგარათმიანი ბიჭი, — პირიდიონ, — ანიშნა მან ამხანაგს, — გამართე წარმოდგენა, ამასობაში ჩვენ გავიპარებით.

ჭოკივით აწოწილი პირიდიონი მაშინვე გადგა განზე, თავდაყირა ხელებით სიარული დაიწყო და ისეთი უცნაური ხმით გაჰკიოდა, გეგონებოდათ. ჭაობის ფრინველები ყივიანო; მრავალრიცხოვანი მასურებელი ვანცვიფრებუ-ლი შეჰყურებდა მას.

ამ არეულობით ისარგებლეს ჯაგარათმიანმა ბიჭმა, პან ცედურმა, ალექმა და ძლივს გამოძვრნენ ბრბოდან, ტაქსი დაიჭირეს და სტარე მისატოსკენ წავიდნენ. პან ცედურმა ბიჭები რესტორან — „ნიანგში“ ნაყინზე დაპატიჟა.

— ამ აურზაურში დაგვაიწყა კიდეც, გვეკითხა; რა გქვია შენ, bambino mio?

ბიჭმა გაიღიმა:

— თეოდორ...

— თეოდორი კარგი სახელია. გაუმარჯოს თეოდორებს! — წამოიყვირა პან ცედურმა, და ლიმონათით საესე ჭიქა ასწია, — შენ გაგიმარჯოს, ბიჭუნო, გენიალურო bambino mio! ახლა კი გვიამბე, რა ოინი გაითამაშეთ სარკეებით? ასეთი ხერხი არ არის აღწერილი არც ერთ სპეციალურ სახელმძღვანელოში, მე კი, მერწმუნე, ნორჩო გმირო, წაკითხული მაქვს არა ერთი წიგნი ცხოველების შესახებ. მე პირადად ვიცნობ დოქტორ იან ჟარბოვსკის. და მას კი არასოდეს არ უთქვამს ჩემთვის ლომების მოთვინიერების ამგვარი ხერხის შესახებ.

¹ ქრისტოანები ლომებისათვის (ლათინურად);

² მე ქრისტოანი არა ვარ, მე ორფეოსი ვარ. (ლათინ.).

— დღეს საცუროდ ნუ წახვალ, შვილო, შენ ზომ თქვი მუცელი მტკივად.

— არა უშავს, დედიკო, ზურგზე ვიცურავებ, — დაამზვინა შვილმა.

— შეკითხვა ხომ არა გაქვთ? — ჰკითხა კრივის მასწავლებელმა თავის შეგირდებს პირველი გაკვეთილის შემდეგ.

— რამდენწლიანია ჩვენი სასწავლებელი? — ჰკითხა ჯეკმა და ჩამტვრეული კბილები დაითვალა.

— გაიგე, რომ ჯიმი „შპარგალკის“ გამო სკოლიდან გამოაგდეს? — უთხრა ჯიმის თანაკლასელმა მეზობელს.

— როგორ თუ „შპარგალკის“ გამო? — ჰკითხა მან.

— ანატომიის გაკვეთილზე თავის ნეკნებს ითვლიდა, — მიუგო ბიჭმა.

— როგორ მიგიხვდა დედა, რომ პირი არ დაგიბანია? — ჰკითხა ელზამ ძმას.

— პირსახოცის დასველება დამავიწყდა, — მიუგო მან.

— რომელი კბილი ეზრდება ადამიანს ყველაზე ბოლოს? — ჰკითხა მასწავლებელმა ფრიცს.

— ხელოვნური კბილი, ბატონო მასწავლებლო, — მიუგო მან.

მასწავლებელი: ფრანც, ეს რისი ფორმულაა? მოსწავლე: ენის წვერზე მადგას, ბატონო მასწავლებლო.

მასწავლებელი: სწრაფად გადმოაფურთხე, არ მოიწამლო: ის — აზოტმჟავაა.

მასწავლებელი: რას მეტყვი, ჰანს, მეფრამეტე საუკუნის გამორჩენილ ქიმიკოსებს?

ჰანსი: დღეს ყველა მათგანი გარდაცვლილია, ბატონო მასწავლებლო.

გერმანულიდან თარგმნა
შ. აშირანაუშვილი

თქვენს უბანში



ცნობილია, რომ კოლხურ ვაზს უმღეროდნენ და აქებდნენ ჰომეროსი და ვირგილიუსი.

ა. იობიძე თვეობით ქეჩავდა ბიბლიოთეკებში უძველეს ხელნაწერებს, ხალხურ თქმულებებს. ერთხელ, მეცხრამეტე საუკუნის მხარეთმცოდნის — ჩერნიავესკის წიგნში აღექსანდრე წააწყდა ყურძნის ჯიშს — ამლახუჯს. ჩერნიავესკი წერდა, რომ ყურძნის ეს ჯიშში სოფელ ავასკემცის გარდა არსად არ ხარობდა, აგრონომი მაშინვე ეწვია ამ სოფელს. შამილის დროის მომსწრე ერთმა მოხუცმა ა. იობიძე მიიყვანა უზარმაზარ მუხასთან, რომელსაც ორი ვეება ვაზი შემოხვეოდა. ვაზები სათუთად ამოთხარეს და სხვა

სოფელში საგანგებოდ მომზადებულ ნიადაგში გადარგეს. ვაზები გახმა.

ა. იობიძემ შეისწავლა სოფელ ავასკემცის ნიადაგი და აღმოჩნდა, რომ იგი ძალზე თავისებური შემადგენლობისაა, — მშრალი და ქვიშნარი. მსგავსი ნიადაგი აფხაზეთის არც ერთ სხვა სოფელში არ არის. დადასტურდა, რომ ამლახუჯს მხოლოდ ასეთი ნიადაგი „მოსწონს“.

აგრონომმა ა. იობიძემ ამლახუჯი მაინც „შეაჩვია“ მისთვის უჩვეულო პირობებს და ახლა ეს ჯიში საქართველოს სხვადასხვა რაიონებშიც ხარობს.

მაგრამ საკითხავია, განსხვავდება თუ არა ამლახუჯის აღდგენილი ჯიში უძველესი ჯიშისაგან? ამ

საკითხის გარკვევაში აგრონომს დაეხმარა ერთი იშვიათი ნაპოვნი; ერთ-ერთი ზღვისპირა გათხრების დროს არქეოლოგებმა იპოვეს უძველესი ყურძნის თესლი, რომელიც თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში იყო მიწაში. თესლი დათესეს. ზოგმა მათგანმა იხარა და სამი წლის შემდეგ ნაყოფი გამოისხა. აი, ეს კი ნამდვილი ამლახუჯი იყო!

ახლა სოფელ ახალსოფლის ახლომხლო ხარობს ბევრი უძველესი, აღდგენილი ჯიში. ვინც ამ ჯიშის ყურძენს იგემებს მას შეუძლია თქვას:

— ამ ჯიშის ყურძენი ოდისევესაც უგემნია!

ისტატიკა ასეთი უნდა

ფილმონი



უკვე ათი წელია, ჩვენს ეზოში ერთი ბიჭუნა ცხოვრობს,—პატარა, ჩამრგვალებული ქერა ბიჭი ლევანი. ჩვენ დიდი ხანია დავმეგობრდით, ოთხი წლისაც არ იყო მაშინ. ერთხელ სადილზე შევესწარი. ჩაფიქრებულმა ამხელა და მკითხა:

— როგორ ფიქრობთ, რომელი უფრო ცხელია: მზე თუ ბორშინი?

მე ვუპასუხე, რომ ორივე ცხელია, მაგრამ მაინც—მზე უფრო.

მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. იმ დღიდან მოსვენებას აღარ მაძლევდა, დღე ერთი იყო, და ხუთჯერ მაინც შემეკითხებოდა რაიმეს. ყველაფერი აინტერესებდა: შეიძლება თუ არა ძაღლს ლაპარაკი ვასწავლოთ? დარჩა თუ არა დღემიწაზე აღმოუჩენელი ქვეყნები? შეიძლება თუ არა ისეთი მანქანის აგება, რომელიც მიწაზე, ცაში და წყალზე ერთნაირი სისწრაფით იმოძრაებს?.. მას შემდეგ, რაც ლევანმა სკოლაში დაიწყო სიარული, კითხვებს უკვე იშვიათად მაძლევდა. ახლა იგი თვითონ მიყვებოდა ბევრ საინტერესო ამბავს. ერთხელ სკოლიდან დაბრუნდა და მითხრა:

— «ცოცხალ კუთხეში» ჩავეწერე. მიწით სავსე ყუთი გამომიყვეს, ლობიო უნდა დავრგა და გავახარო...

რამდენიმე დღის შემდეგ ვკითხე:

— რას შვრება შენი ლობიო, ამოვიდა?

— ამოვიდა, — უხალისოდ მიპასუხა ლევანმა, — მაგრამ ლობიო რაა, აი, ჩვენი გოგოები ლიმონებს უვლიან.

მალე აივანზე, მიწით სავსე ყუთში, ლიმონის ნერგი შევამჩნიე.

— ლიმონი რომ მოისხამს, გაგიმასპინძლებით, — დამპირდა იგი. მაგრამ ლიმონს ნაყოფი ჯერ არც კი მოესხა, რომ ლევანი სხვა საქმემ გაიტაცა.

ჩვენს სადარბაზო შესასვლელში იმხანად, პატარა საფოსტო ყუთი ჩამოკიდეს. მოდის ფოსტალიონი და მთელი დღი ფოსტას პირველ სართულზე, შესასვლელში ტოვებს, თვითონ კი მიდის. არავინ იცის, როდის უნდა ჩავიდეს ფოსტის ამოსატანად, რადგან ფოსტალიონი სხვადასხვა დროს მოდის ხოლმე. ლევანმა ამ სიახლის «გაუმჯობესება» მოინდომა.

— როგორც კი ფოსტას ყუთში ჩაუშვებენ, ზემოთ, აივანზე ზარი დარეკავს,—ავცინხნა მან.

თქვა და შეასრულა. მოხსნა ყუთი, საერო ზარს ახალი მავთული გამოაბა. მთელი დღე ჩხირკედელაობდა. მთელი დღე ისმოდა სადარბაზოდან მხიარული სიმღერა. მეორე დღეს, სამსახურიდან რომ დავბრუნდი,

ქურნალ-გაზეთები სადარბაზო კარების სახელურში დამხვდა გარჭობილი. ღამით, დაგვიანებულებს ზარი რომ მოშლილი დახვდათ, ფეხებით აუტეხეს კარებს ბრახუნი.

საფოსტო ყუთის ნამტვრევები, ლურსნები და ელექტრომავთულის ნაკუწები კიდევ კარგა ხანს ეყარა კიბეზე.

ორიოდე დღის შემდეგ ლევანს ახალი იდეა დაებადა. სკოლის რადიოკაბინეტიდან რადიომიმლების ნაწილები მოიტანა, მათ მეზობლებში შეგროვილი ძველი კონდენსატორები, რადიონათურები და სხვა ნაწილები მიუმატა და ახალი აბარატის კეთებას შეუდგა. სამი დღე ფაციფუცობდა აივანზე. მეოთხე დღეს ყველაფერი ერთ კუთხეში ვნახე მიყრილი, თვითონ კი მეზობლის მოტოციკლს უტრიალებდა მთელი დღე.

ლევანი ამჟამად ახალი იდეით არის გატაცებული, მაგრამ მე უკვე აღარ მაინტერესებს მისი საქმიანობა; სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ არც ამ საქმეს მიიყვანს ბოლომდე...

წ. ლაშაშვილი



უჩივიან... მამალს

საფრანგეთის ქალაქ მელენის მრდილო-უბნელებმა ქალაქის მერს საჩივარი მიართვეს. ისინი უჩივიან მამალს, რომელიც ინგლისიდან უოფილა ჩამოყვანილი და უდროოდ დროს ჰყვივის. იგი, თურმე, „ანგარიშს არ უწევს“ ინგლისისა და საფრანგეთის დროთა შორის განსხვავებას და ჰყვივის ზუსტად იმ დროს, რა დროსაც ინგლისში ჰყვიოდა. ამის გამო, თავისი უბნის მკვიდრთ ჩვეულებრივზე ერთი საათით ადრე აღვიძებს. ამ ერთ მამალს როგორმე გაუძღვებდნენ, მაგრამ მის „უილიფოს“ მყისვე აწყვეტიან ხოლმე სხვა მამლებიც და ტკბილად მძინარე ქალაქს ძალაუბნებურად ეღვიძება.

ჩიტის ბუდე ავტომანქანაში

ამას წინათ, ინგლისის ერთ-ერთი მკვიდრი მოულოდნელობისაგან სახტად დარჩა, როცა თავისი ავტომანქანის მოტორთან ჩიტის ბუდე დაინახა. ბუდე შაშვს გაეკეთებინა და კვერცხებშიც დაედო. რამდენიმე ხნის შემდეგ, მანქანის პატრონმა კიდეც ახალი რამ აღმოაჩინა: როგორც კი ამუშავდებოდა მოტორი, შაშვი ბუდეს ტოვებდა; ეტუობოდა, სულაც არ ადარდებდა მომავალი ბარტყების ბედი. მოტორი ხომ საკმაოდ გაათბობდა კვერცხებს! მანქანის შინ დაბრუნებისთანავე, შაშვიც კვლავ მიაშურებდა ხოლმე თავის ბუდეს.

ეს შაშვი მსოფლიოში ერთადერთი ჩიტია, რომელმაც ბარტყების გამოსაჩეკად „ინკუბატორული“ ხერხი გამოიყენა.

ბანდებილი ხე

მსოფლიოში ყველაზე მარტოხელა ხე არის საპარაში, ტერერის ოაზისში. ეს ხე პალმაა. მის ირგვლივ გადაჭიმულ უდაბნოში 2.000 კილომეტრ რადიუსზე არც ერთი სხვა ხე არ ხარობს.

იუნოს დიდი შემოსავალი აქვს

იუნო—ძაღლის სახელია. მას კარგად იცნობს ყველა ინგლისელი, ვინც კი უყურებს ლონდონის სატელევიზიო გადაცემებს.

იუნომ, როგორც მსახიობმა, 37 ფილმსა და 10 ტელედადგამში მიიღო მონაწილეობა. ეს ჰქვიანი ძაღლი საკმაოდ ბევრ ფულს აკეთებს. მას ჰყავს საკუთარი მდივანი, აქვს თავისი მიმდინარე ანგარიში ბანკში, ჰყავს

რწმუნებულები პრესაში. იუნოსაგან იღებენ სათანადო საშემოსავლო გადასახადს; ამ გადასახადს იხდის მისი პატრონი ქალი.

ჰქვიან, დარბაისელ და გამოცდილ იუნოს საბელით უოველდღე დაჰყავს სასეირნოდ მისი პატრონის მეორე ძაღლი, რომელიც იუნოზე ახალგაზრდაა. თანაც—გამოუცდელი და თავქარიანი.

ძებლი უნდა აუგონ... ჰავასი

ესპანეთის ქალაქ დენისის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, მონუმენტი დაუდგან ადგილობრივ ჰავასს. რომელიც, მათი აზრით, ყველაზე უკეთესი ჰავაა მთელ დედამიწაზე. ქვის ძეგლს შეამკობს უზარმაზარი თერომეტრი. მონუმენტზე ამოკვეთილი იქნება შემდეგი წარწერა:

„მხოლოდ დენიაში ნახავთ იდეალურ ჰავასს, რომელიც ისეთივე მშრალია, როგორც ალიკანტეში; რბილია, როგორც მალაგაში; მყარია, როგორც მალორკეში!“

ყველაზე ნუგბარი კირი

ოკლახომის შტატში (აშშ) ყველაზე ნუგბარ კერძად ითვლება... ჩხრიალა გველი.

დიდი დღესასწაულების წინადღეს მონადირეები ჩხრიალა გველების დასაჭერად მიეშურებიან. მათ, ტრადიციის მიხედვით, ათასობით ადგილობრივი მცხოვრები მიაცილებს.

ჩხრიალა გველის ხორცს, სათანადოდ მომზადებულს, დაკონსერვებულსა და გაყუ-



ბევრმა ალბათ არ იცის, რა მოხდება დედამიწაზე ნახშირბადი რომ გაქრეს. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებაში ნახშირბადის გარდა ასი სხვა

ელემენტიც, მის გარეშე მაინც ვერ იარსებებდა ვერც ერთი ცხოველი, ვერც ერთი მცენარე, არ იქნებოდა არც ქვანახშირის, არც ნავთობის საბადოები, დედამიწა უდაბნოს დაემსგავსებოდა.

შეიძლება უცნაურად გეჩვენოთ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ელემენტის რაოდენობა დედამიწაზე ძალზე მცირეა, იგი ეანგბაღზე, კაუბაღზე, ალუმინზე უფრო ცოტაა.

ცხოველები იკვებებიან მცენარეებით, მცენარეებში ნახშირბადი-ცხოველები სუნთქვისას გამოჰყოფენ ნახშირორჟანგს, ნახშირორჟანგი კი, თავის მხრივ, მცენარეთა საკვებია. ასე მიმდინარეობს ნახშირბადის წრებრუნვა ბუნებაში.

ნახშირორჟანგის დანიშნულება მარტო იმით არ შემოიფარგლება,

რომ იგი მცენარეებს კვებავს. ნახშირორჟანგს „დედამიწის საბანს“ უწოდებენ, იგი იოლად ატარებს მზის სხივებს, რომლებიც დედამიწას ათბობს და, ამასთან, ინფრაწითელი სხივების სახით, სითბოს საშუალებას არ აძლევს დედამიწიდან გაიფანტოს.

უძველეს ეპოქაში, ჰავისა და რელიეფის შეცვლასთან ერთად, მიწაში ჩინთქა მცენარეებით დაფარული უდიდესი ფართობები. ასე რომ, ნახშირბადის დიდი რაოდენობა გამოვიდა წრებრუნვიდან. საუკუნეების მანძილზე მცენარეებმა მთელი რიგი ქიმიური და სხვა სახის ცვლილებები განიცადეს, რის შედეგადაც გაჩნდა ქვანახშირი და ნავთობი.

დროთა განმავლობაში ადამიანმა მიაგნო დამარხულ სიმდიდრეს, ნავთობი და ქვანახშირი საწვავად გა-

ნულს, ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი გასავალი აქვს.

ჯოლბიანი გულშემატიკრები



არსად არ ჰქავს ფეხბურთის ისეთი თავგამოდებული გულშემატიკრები, როგორც არგენტინაში. არგენტინელები ამა თუ იმ გუნდისადმი თავიანთი სიყვარულს ხშირად უცნაური ფორმებით გამოხატავენ. მაგალითად, როცა არგენტინის ჩემპიონი გახდა „ბოკა ხუნიორსი“, ამ გუნდის ყველაზე ცხარე გულშემატიკრებმა მთლიანად გადაიპარსეს თმა და თავი შეიღებეს ცისფერ და ყვითელ ზოლებად—სწორედ ასეთი ფერის ზოლებიანი ფორმა ეცვა თავიანთ საყვარელ გუნდს.

სიბნელის შიშმა დასოცა

საფრანგეთში მეფრინველეობის ერთ-ერთ ფერმაში ამას წინათ იშვიათი შემთხვევა მოხდა. ფარდულეებში, სადაც 4 ათასი ციციარი ცხოვრობდა, ღამე მუდამ ერთო შუქი. ერთხელ 1.000 ციციარი გასაყიდად შეარჩიეს. იმაღმეს ისინი ცალკე. ბნელ შენობაში მოათავსეს. უჩვეულო სიბნელემ ისე შეაშინა

ციცრები, რომ დილაზე ყველანი დაიხივნენ.

მსოფლიოს მიწისქვეშა გზები

დედამიწაზე 28 საქალაქო მიწისქვეშა გზაა, მათ შორის 17 — ევროპაშია, 7 — ამერიკაში, 4 — აზიაში. ავსტრალიასა და აფრიკას ჯერ-ჯერობით არა აქვთ მეტრო.

ყველაზე ძველი მეტრო, 1868 წელს აშენებული, ლონდონშია, ყველაზე გრძელი — ნიუ-იორკში, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის ხაზი 880 კილომეტრია.

ყველაზე მოკლე მეტრო არის სტამბოლში. ამ მეტროს სულ ორი სადგური აქვს, რომელთა შორის მანძილი 600 მეტრია. მიუხედავად ამისა, სტამბოლის მეტრომ შარშან 11 მილიონი კაცი გადაიყვანა. იგი 1876 წელსაა აგებული.

ყველაზე მეტი მგზავრი — წელიწადში 1,8 მილიარდი — გადაჰყავს ნიუ-იორკის მეტროს, 1,2 მილიარდი — პარიზისას. 1 მილიარდი მგზავრი გადაჰყავს მოსკოვის მეტროს, რომელიც ყველაზე ღამაში და მუხერხებული მეტროა მთელ მსოფლიოში.

ლაპარაკობენ თუ არა ჰიანჭველები?

ტყის ვიწრო ბილიცე ორი ჰიანჭველა ხვდება ერთმანეთს.

- მაჭამე, რა!
- მომწყდი თავიდან!
- გვედერები!

აი, ასეთი დიალოგი იმართება მათ შორის.

რის და, ბოლოს და ბოლოს, მამლარი ჰიანჭველა მშვიდს ხაჭმელს უწილადებს.

ეს დიალოგი მოგონილი როდია. ის, რომ ჰიანჭველები, ფუტკრებსა და სხვა მწერებს შეუძლიათ ერთმანეთს სიგნალები გადასცენ, არაა ახალი ამბავი ზოოლოგებისათვის. მაგრამ ამ სიგნალების „წაკითხვა“, ადამიანის ენაზე მათი „გადათარგმნა“ მხოლოდ ამას წინათ მოხერხდა.

როცა მერქანჭამია ჰიანჭველა სწორი კუთხით მოაბრუნებს თავს, გახსნის ყბებს და მეორე ჰიანჭველას უღვაშებით თავზე მოუცაცუნებს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საჭმელს თხოულობს. თუ მისი თხოვნა უპასუხოდ რჩება, იგი უფრო მეტი დაუინებით იმეორებს თავის თხოვნას: თავს უკან მიაბრუნებს და მამლარ ჰიანჭველას ყბებს ქვემოდან მიუშვერს.

ჰიანჭველებს აქვთ სიგნალები: „ყურადღება!“, „განგაში!“, „აქეთ, გვიშველეთ!“

როცა მეცნიერები მერქანჭამიების ყველა სიგნალს გამოიცნობენ, ისინი, ალბათ, ჰიანჭველა—ადამიანის ლექსიკონს შეადგენენ.



მოიყენა; ამრიგად, ნახშირორქანგი კვლავ იქნა შეყვანილი წრებრუნვაში.

ნახშირორქანგი სასარგებლო აირია, მაგრამ თუ იგი ჰაერში 10 პროცენტზე მეტია, იწვევს სუნთქვის პროცესის დარღვევას და ორგანიზმი იღუპება. ამიტომ, ყველა ჩვენგანის ვალია, ხელი შევუწყოთ ტყის გაშენებას, რაც ნახშირორქანგის ევოლუციის ერთ-ერთი საშუალებაა.

თითქმის ორასი წლის წინათ გახდა ადამიანისათვის ცნობილი, რომ სუნთქვისათვის აუცილებელია ჟანგბადი, რომელიც ჰაერის ერთ მეხუთედ ნაწილს შეადგენს.

ცნობილმა მეცნიერმა ლაუზიემ საფუძვლიანად შეისწავლა ადამიანის სუნთქვის პროცესი და იმ დასკ-

ვნამდე მივიდა, რომ სიცოცხლე არის ნელი წვა.

როცა სპირტი იწვის, გამოიყოფა ნახშირორქანგი, წყლის ორთქლი და სითბო. ადამიანი სუნთქვის დროს გამოყოფს იგივე ნივთიერებებს, რასაც წვის დროს გამოყოფს სპირტი.

ადამიანები და ცხოველები გამოუდმებით შთანთქავენ ჟანგბადს. ჟანგბადი იხარჯება ქვანახშირის, ნავთის, შემის წვის დროს.

მაშ, ხომ არ არის მოსალოდნელი — ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელი ეს აირი გამოილიოს?

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ჟანგბადის რაოდენობა ბუნებაში ახლაც იგივეა, რაც იყო 175 წლის წინათ.

რატომ?

ამ საკითხით 1772 წელს დაინტე-

რესდა ცნობილი მეცნიერი პრისტლი. მან ასეთი ცდა ჩაატარა: ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში თავი დაამწყვდია. თავი გაიგულა. შემდეგ მეცნიერმა ჭურჭელში პიტნის ტოტი მოათავსა. გავიდა ხანი და თავგმა სუნთქვა დაიწყო. რა მოხდა? მეცნარემ ჰაერი „გამოასწორა“, გაწმინდა, — წყალი და ნახშირორქანგი, სინათლის სხივის მოქმედებით, მეცნარეში ორგანულ ნივთიერებად და ჟანგბადად გარდაიქმნა.

ასე რომ, ჟანგბადის გამოლევის საშიშროება არ არის, — მეცნარეები გამუდმებით გვაწვდიან მას.

თამაზ ლეჟავა



ფეხბურთი ასი წლისა

ფეხბურთი ასი წლისაა, მაგრამ მისი ფესვები შორეულ წარსულშია დამარხული. ბურთით თამაში ბევრ ქვეყანაში იყო გავრცელებული, განსაკუთრებით კი—ძველი აღმოსავლეთის და ანტიკური სამყაროს სახელმწიფოებში.

რომაული «გარბასტუმი» ცეზარის ლეგიონერებმა პირველად გალესებთან ნახეს. ფრანგული—«სულტი», ქართული—«ლელო», რუსული—«შალიგა» და ბევრი სხვა თამაში შეიძლება დღევანდელი ფეხბურთის წინაპრად ჩათვალოს.

შუა საუკუნეებში არ იყო სპეციალური სათამაშო მოედნე-

ბი, ბურთს ქუჩებში ან მინდორში თამაშობდნენ. მაშინდელი ქალაქების ქუჩები ისე ვიწრო იყო, რომ არათუ მაყურებლებს, მოთამაშეებსაც კი ძლივს იტევდა. ბურთით თამაში დიდ ინტერესს იწვევდა მოსახლეობაში; ხელოსნები და მოვაჭრეები საქმეს ტოვებდნენ და თამაშში ჩაებმებოდნენ ხოლმე. იმტვრეოდა და იმსხვრეოდა ყველაფერი. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ბურთით თამაში ხშირად სპეციალური ბრძანებით იკრძალებოდა.

შემორჩენილია ძველი ინგლისური სასამართლოს ერთი ოქმი, სადაც ოთხ ადამიანს გამოტანილი აქვს სასტიკი განაჩენი

იმისათვის, რომ: «ბოროტმოქმედებთან ერთად ისინი თამაშობდნენ აკრძალულ თამაშს ბურთით, რასაც მოყვა დიდი უწყესრიგობა, ადამიანთა მსხვერპლიც კი...»

ბურთით თამაში დაახლოებით ორას ორმოცდაათი წელი იყო აკრძალული და აღდგენილი იქნა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროს შემუშავდა თამაშის წესები და მოედანზე მოთამაშეთა ქცევის ნორმები.

1863 წელს, დიდი დავის შემდეგ, გადაწყდა, რომ ბურთს მხოლოდ ფეხით უნდა თამაშობდნენ, შემუშავდა თამაშის წესების 13 ძირითადი პუნქტი.

...და ტემზის ნისლიანი ნაპირებიდან ფეხბურთმა დაიწყო ტრიუმფალური მსვლელობა. უკვე მაშინ გუნდი 11 კაცისაგან შედგებოდა, მიწაში ჩასობილი ორი ჯოხი და მასზე გაბმული ბაწარი კარები იყო, მოთამაშეებს შარვლები და მსუბუქი ფენსაცმლები ეცვათ.

1878 წელს პირველად გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. მანამდე მსაჯები ხმით, ხელებით ან პატარა ზარით იძლეოდნენ ნიშანს.

1882 წელს შემოღებულ იქნა ორი ხელით აუტის მოწოდება. 1891 წელს დაადგინეს კარების ზომა და ძელებს შორის ბადე გაჭიმეს. იმავე წელს შემოიღეს თერთმეტმეტრიანი დარტყმა.

ზ. მარკიანი

გარეკანის პირველ გვერდზე — „ზაფხულის დღე“, ნახტი ელზარდ ამგოპაძისა

რედაქტორი ბაბუღია შელია

სარედაქციო კოლეგია: შილიკო ბიკიძე, როსტომ მლანიძე, იაგო ვარდოხანიძე, ჩხვაჭ ინანიშვილი, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, ჯუჩაბ ლეშაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გიორგი ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), გიორგი შატბერაშვილი.


<p>ჩვენი მისამართი: თბილისი, პლუბანოვის 91 ტელეფონები: რედაქტორის—3-17-78 საერთო—5-07-43</p>	<p>„ПIONEРИ“, Не грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плевакова, 91. გამომცემლობა ანაკლეია. უფ 04496 ტორ. 28.000. პირ. ფორ. რაოდ. 4 1/2, უფ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 20/VII-64 წ. სტამბის შეჯ. 1674. გამომც. შეჯ. 304. საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1 რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	<p>ფახი 20 კაბიცი</p>
--	---	-------------------------------



როდესაც თეგით სპილენძს, ბრინჯაოს, ქვას ან სხვა მყიფე საგანს ტეხ, თუ გინდა რომ ნამსხვრევი თვალში არ მოგხვდეს—სათვალე გაიკეთე.



ქლიბს ხმარების წინ პირი გაუსინჯე. პირგადაღესილი ქლიბი ცუდად ქლიბავს. ქლიბის გასაღესად რკინის ჯაგრისი იხმარე.



ნუ იხმარ უტარო ქლიბს. თუ საგანი მკვრივია და ქლიბს ზემოდან დაწოლა ჭირდება, არ ამოლო მარცხენა ხელის თითები ქვემოდან.



მაკრატელი ყოველთვის დაკეცილი, პირით შენსკენ, უნდა გადააწოდო.

იხმარე მჭრელი დანა. ბლაგვი დანისპირი დიდ ძალას მოითხოვს. ამიტომ




ძეიდება იოლად ასხლტეს. დანით მუშაობისას ეცადე საგანი გათალო შენგან იქით, და არა შენსკენ.

ხერხვისას ფიცარი ქანაობს ზოლმე. არ შეამაგრო იგი მარცხენა ხელით, თუ ქვეშ ფიცრის ნაჭერს არ ამოიღებ.



იღვეს. (ასხლეტილ ნაფოტს შეუძლია სერიოზულად დააშავოს ადამიანი) შესვენებისას ნაჯახი ასე უნდა „დაასვენო“.

თუ გინდა ბეწვახერხი არ გატყდეს, იგი კარგად უნდა გაჭიმო ჩარჩოზე. ხერხის გაციების მიზნით. ხერხვა დრო და დრო უნდა შეწყვიტო.



გირაგით მუშაობისას ნუ დაწვები სახელურს მთელი ტანით, კბილანებში საგნის დასამაგრებში



ლად მკლავის ძალაც საკმარისია, წინააღმდეგ შემთხვევაში საგანი შეიძლება ამოსხლტეს და სხეული დაგიზიანოს.

ხელსაწყოს რომ ხელში აიღებ და საქმეს შეუდგები, თუ გინდა არაფერი დაიზიანო, თანაც შესრულებული სამუშაო ხარისხიანი იყოს,—აუცილებლად უნდა იცოდე უსაფრთხოების ელემენტარული წესები.

აი, ისინიც: სანამ ჩაქუჩს დაარტყამდე, გასინჯე,—თეგს გაბზარული ან დაჭეჭვილი ხომ არა აქვს თავი.



ჩაქუჩი მტკიცედ უნდა იჯდეს ტარში, ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენებ-

